GEORGIAN NATIONAL HANDBALL FEDERATION

1956

# საქართველოში ხელბურთის განვითარების სტრატეგია

## 2020-2030

თბილისი
2020

საქართველოს  განათლების, მეცნიერების, კულტურისა და სპორტის სამინისტრო

საქართველოს ეროვნული ოლიმპიური კომიტეტი

ქალაქ თბილისის მერია

ხელბურთის საერთაშორისო ფედერაცია

ევროპის ხელბურთის  ფედერაცია

საქართველოს ხელბურთის ეროვნული  ფედერაცია

სპორტი  განვითარებისთვის - საქართველო

# სარჩევი


» ხედვა და მისია 5

» ქართული ხელბურთი 2019 წლის მდგომარეობით 7

» ქართული ხელბურთის განვითარების ძირითადი ტენდენციები 2012-2019 წლებში 8

» **მიზანი 1.** ფედერაციის მმართველობის სისტემის გაუმჯობესება 10

» **მიზანი 2.** ეროვნული საშეჯიბრო სისტემის გაძლიერება და უწყვეტი სათამაშო სეზონის უზრუნველყოფა 14

» **მიზანი 3.** ნაკრები გუნდების საერთაშორისო კონკურენტუნარიანობის ზრდა 18

» **მიზანი 4.** ქვიშის ხელბურთის განვითარება 22

» **მიზანი 5.** ხელბურთის კლუბების განვითარების ხელშეწყობა 26

» **მიზანი 6.** სპორტსმენის პროფესიული და კარიერული განვითარების ერთიანი სისტემის ჩამოყალიბება და ამოქმედება 29

» **მიზანი 7.** მწვრთნელთა განათლების თანამედროვე პროგრამებისა და ლიცენზირების სისტემის დანერგვა და განხორციელება 34

» **მიზანი 8.** მსაჯთა რაოდენობის ზრდა და მათი მზადება საერთაშორისო სტანდარტების შესაბამისად 37

» **მიზანი 9.** ხელბურთი ყველგან და ყველასთვის, სასკოლო, სტუდენტური, ეტლით მოსარგებლეთა და ქუჩის ხელბურთის განვითარების სისტემების ჩამოყალიბება და მათი ფუნქციონირების უზრუნველყოფა 41

» **მიზანი 10.** კეთილმოწყობილ ინფრასტრუქტურაზე ხელმისაწვდომობის უზრუნველყოფა 47

» **მიზანი 11.** ხელბურთის პოპულარობის ზრდა და კომერციალიზაცია 49

» **მიზანი 12.** თანამშრომლობა ეროვნულ და საერთაშორისო სპორტულ ორგანიზაციებთან 52

» სტრატეგიის ფინანსური უზრუნველყოფა და განხორციელების მექანიზმი 54

# შესავალი

საქართველოში ხელბურთის განვითარების სტრატეგია ემსახურება ხელბურთის ეროვნული ფედერაციის ხედვის - „ხელბურთი - მეტი ვიდრე გამარჯვება! ეს არის სამყარო სადაც იზრდებიან, ვითარდებიან და აღწევენ მაღალ შედეგებს“ პრაქტიკაში რეალიზებას.

აღნიშნულის მისაღწევად, სტრატეგიით განისაზღვრა 12 მიზანი და 38 ამოცანა, რომელთა განხორციელება დაგეგმილია 2020-2030 წლებში. სტრატეგიული ნაწილში თითოეულ მიზანს თან ერთვის ლოგიკური ჩარჩო, რომელიც მოიცავს ინფორმაციას მიზნებისა და ამოცანების, ასევე მათი შედეგების საბაზისო, შუალედური და საბოლოო ინდიკატორების შესახებ. ფედერაცია აღიარებს, რომ დასახული სტრატეგიული მიზნების მიღწევა და შესაბამისი ამოცანების გადაჭრა მნიშვნელოვნად არის დამოკიდებული ეროვნულ და საერთაშორისო სუბიექტებთან ნაყოფიერ თანამშრომლობასა და მათ მხარდაჭერაზე.

სტრატეგია ეფუძნება 2019 წელს საქართველოში ჩატარებულ ხელბურთის განვითარების მდგომარეობის სიტუაციური ანალიზის შედეგებს. ანალიზის მეთოდოლოგია მოიცავდა სამაგიდე კვლევას, ინდივიდუალურ და ჯგუფურ (ფოკუს-ჯგუფები) ინტერვიუებს შესაბამის დაინტერესებულ პირებთან, მათ შორის: ფედერაციის მმართველ ორგანოსა და კლუბების წარმომადგენლებთან, ეროვნული და ასაკობრივი ნაკრებების წევრებთან, სპორტსმენებთან, მწვრთნელებთან, ცენტრალური და ადგილობრივი ხელისუფლების, ასევე ბიზნეს სექტორის და ამ სფეროში ჩართულ სხვა წარმომადგენლებთან.

**წინამდებარე სტრატეგიის დოკუმენტი შემუშავდა არასამთავრობო ორგანიზაციის „სპორტი განვითარებისთვის - საქართველო“ ტექნიკური მხარდაჭერით.**

**საქართველოს ხელბურთის ეროვნული ფედერაცია ქმნის გარემოს, სადაც:**

- ხელბურთი ხელს უწყობს მოსახლეობაში ჯანმრთელი ცხოვრების წესის დამკვიდრებას
- ხელბურთი ხელმისაწვდომია ყველგან და ყველასთვის
- ზრუნავენ ხელბურთში ჩართული ბავშვებისა, მოზარდების, სპორტსმენების, მწვრთნელებისა და მენეჯერების, ასევე სხვა პირების პროფესიულ და პიროვნულ  განვითარებაზე
- საერთაშორისო ასპარეზზე ქვეყნის ნაკრები გუნდები ღირსეულად წარმოაჩენენ საქართველოს
- მაღალია გულშემატკივრის, მაყურებლის და მას მედიის ინტერესი სახელბურთო მოვლენებისადმი
- ითვალისწინებენ ორგანიზაციის წევრების საჭიროებებს და ხელს უწყობენ მათ გადაწყვეტაში
- უზრუნველყოფენ ხარისხიანი სერვისების მიწოდებას
- სრულყოფისთვის მუდმივად ნერგავენ სიახლეებს

**ხელბურთი - მეტი ვიდრე გამარჯვება! ეს არის სამყარო სადაც იზრდებიან, ვითარდებიან და აღწევენ მაღალ შედეგებს.**

**სტრატეგიული მიზნები:**

ხედვის რეალიზაციისთვის, მომდევნო წლების განმავლობაში, ფედერაცია უზრუნველყოფს:

- ფედერაციის მმართველობის სისტემის გაუმჯობესებას;
- ფედერაციის საშეჯიბრო სისტემის გაძლიერებას და უწყვეტი სათამაშო სეზონის უზრუნველყოფას;
- ნაკრები გუნდების საერთაშორისო კონკურენტუნარიანობის ზრდას;
- ქვიშის ხელბურთის განვითარებას;
- ხელბურთის კლუბების განვითარების ხელშეწყობას;
- სპორტსმენის პროფესიული და კარიერული განვითარების ერთიანი სისტემის ჩამოყალიბებას და ამოქმედებას;
- მწვრთნელთა განათლების თანამედროვე პროგრამებისა და ლიცენზირების  სისტემის დანერგვა და განხორციელებას;
- მსაჯთა რაოდენობის ზრდას და მათ მზადებას საერთაშორისო სტანდარტების შესაბამისად;
- ხელბურთი ყველგან და ყველასთვის, სასკოლო, სტუდენტური, ეტლით მოსარგებლეთა და ქუჩის ხელბურთის განვითარების სისტემების ჩამოყალიბებას და მათი ფუნქციონირების უზრუნველყოფას;
- კეთილმოწყობილ ინფრასტრუქტურაზე ხელმისაწვდომობის უზრუნველყოფას;
- ხელბურთის პოპულარობის ზრდას და კომერციალიზაციას;
- თანამშრომლობას ეროვნულ და საერთაშორისო სპორტულ ორგანიზაციებთან;

# პარტნიორები

ფედერაცია აღიარებს, რომ დასახული სტრატეგიული მიზნების მიღწევა და შესაბამისი ამოცანების გადაჭრა მნიშვნელოვნად არის დამოკიდებული სხვადასხვა პარტნიორ ორგანიზაციებთან ნაყოფიერ თანამშრომლობასა და მათ მხარდაჭერაზე. აღნიშნულის გათვალისწინებით, თავისი საქმიანობის განხორციელების პროცესში ფედერაცია:

შეინარჩუნებს და განავითარებს თანამშრომლობას მოქმედ პარტნიორებთან;

მოახდენს ახალი პარტნიორების იდენტიფიცირებას და ხელბურთის სამყაროში მათ ჩართულობას.

**ფედერაციის ძირითადი პარტნიორები:**

- ცენტრალური და ადგილობრივი ხელისუფლების ორგანოები, განსაკუთრებით, სპორტზე პასუხისმგებელი ცენტრალური და ადგილობრივი აღმასრულებელი ხელისუფლება - სამინისტრო და თვითმმართველი მუნიციპალიტეტები
- საქართველოს ეროვნული ოლიმპიური კომიტეტი
- ხელბურთის საერთაშორისო ფედერაცია
- ევროპის ხელბურთის ფედერაცია
- საქართველოს პარალიმპიური კომიტეტი
- საქართველოს სპორტული ორგანიზაციები: „სპორტი ყველასათვის“, „ბავშვთა და სასკოლო სპორტის ეროვნული ფედერაცია“, “საუნივერსიტეტო სპორტის ფედერაცია“, „სპორტული მედიცინის ასოციაცია“, „სპორტულ ჟურნალისტთა ასოციაცია“
- საქართველოს ანტი-დოპინგური სააგენტო
- ააიპ ხელბურთის ოლიმპიური მზადების აკადემია
- საქართველოს ფიზიკური აღზრდისა და სპორტის სახელმწიფო სასწავლო უნივერსიტეტი
- საქართველოს ფიზიკური აღზრდისა და სპორტის სახელმწიფო საზოგადოებრივი კოლეჯი
- ზოგადსაგანმანათლებლო (სკოლები), პროფესიული (კოლეჯები) და უმაღლესი სასწავლებლები (ინსტიტუტი, უნივერსიტეტი)
- მასობრივი მედია საშუალებები
- კომერციული ორგანიზაციები

# ქართული ხელბურთი 2019 წლის მიგომაჩეობით

**EHF-ის რეიტინგი**
კაცები და ვაჟები: 25-ე
ქალები და გოგონები: 27-ე

**8 ნაკრები გუნდი:**
ეროვნული (კაცები, ქალები) ვაჟები: U20, U18, U17; გოგონები: U19, U17, U16.
სეზონში საშუალოდ - 51 თამაში

**9 ეროვნული რეგულარული ჩემპიონატი**
ეროვნული ჩემპიონატი (კაცები, ქალები), ასაკობრივი ჩემპიონატები U17, U15; (ვაჟები, გოგონები)
ქვიშის ხელბურთის ჩემპიონატები (კაცები, ქალები),
საქართველოს თასი (კაცები)
სეზონში - 734 თამაში, თვეში - 73 მატჩი

**23 კლუბი, 65 გუნდი**: დიდები, U17, U15
გეოგრაფიული დაფარვა: იმერეთი (5), თბილისი (4), კახეთი (4), სამეგრელო (3), აჭარა (3), შიდა ქართლი (2), ქვემო ქართლი (2)

**ქვიშის ხელბურთი ჩემპიონატი**
კაცების გუნდი - 7
ქალების გუნდი - 8

**მასობრივი ხელბურთი**
აქტივობებში ჩართულია 3500 მდე საჯარო სკოლების მოსწავლე, სტუდენტი, ხელბურთის გულშემატკივარი, ვეტერანი ხელბურთელი.

**1050** სპორტსმენი
კაცი: 56% ქალი: 44%
საშუალო ასაკი: 20 წელი

**14 ლეგიონერი**
რუმინეთი, საფრანგეთი, ისლანდია, პორტუგალია, მაკედონია, უნგრეთი, გერმანია, აზერბაიჯანი, ფარერები

**55 მწვრთნელი**
კაცი - 45, ქალი - 10.
მწვრთნელთა ლიცენზირების სისტემა

**8 დელეგატი**
კაცი - 5, ქალი - 3
**12 მსაჯი**
კაცი - 8, ქალი - 4

**ფედერაციის ოფისში დასაქმებულ**
პირთა რაოდენობა - 18

**ფედერაცია-ს კომერციული საქმიანობა**
სპონსორი: ფონდი „ქართუ“
პარტნიორი: „კოკა-კოლა“, „ბაკურიანი“
მედია-პარტნიორი: „ჯაკო FM”, “sportall.ge”

**გაშიქება**
ფედერაცია პირდაპირ ეთერში (live-stream) აშუქებს ეროვნული ჩემპიონატების ყველა მატჩს და ასაკობრი ჩემპიონატების ფინალურ ეტაპებს

**8 საერთაშორისო ღონისძიება**

2014-2019 წლებში საქართველოში ჩატარებული საერთაშორისო ღონისძიებების ორგანიზების მაღალი სტანდარტებიდან გამომდინარე, ფედერაცია IHF და EHF-ის მიერ აღიარებულია ტოპ ორგანიზატორად

**ფედერაციას და არც ერთ კლუბებს საკუთრებაში არ გააჩნია სპორტული დარბაზი.** დარბაზების იჯარის მომსახურების წლიური ხარჯი შეადგენ ფედერაციის ბიუჯეტის 11%.

**სახელმწიფო დაფინანსება**

2015-2019 წლებში:
მინიმალური - 1,209,000 ₾,
მაქსიმალური - 1,463,000 ₾

# ქართული ხელბურთის განვითარების ძირითადი ტენდენციები 2012-2019 წლებში

| | 2012 | 2015 | 2019 |
|---|---|---|---|
| ფედერაციის ბიუჯეტი (ლარში) | 679,800 | 1,296,400 | 1,463,000 |
| ნაკრები გუნდები (კატეგორიების მიხედვით) | ერ. ნაკრები (კაცები)<br>U18 (ვაჟები) | ერ. ნაკრები (კაცები)<br>U20, U19, U17 (ვაჟები)<br>U18 (გოგონები) | ერ. ნაკრები<br>(კაცები, ქალები)<br>U19, U17 (გოგონები)<br>U20, U18 (ვაჟები) |
| ნაკრები გუნდების რეიტინგი (EHF-ის ვერსიით) | 38 | 36 | 27 |
| ეროვნული ჩემპიონატი<br>(მონაწილე გუნდების რაოდენობა) | 6 (კაცები) | 8 (კაცები) | 8 (კაცები)<br>8 (ქალები) |
| ასაკობრივ ჩემპიონატები<br>(მონაწილე გუნდების რაოდენობა | 22 (ვაჟები)<br>10 (გოგონები) | 26 (ვაჟები)<br>16 (გოგონები) | 26 (ვაჟები)<br>24 (გოგონები) |
| ფედერაციაში რეგისტრირებული კლუბები | 51 | 55 | 65 |
| სპორტსმენები<br>(ჩემპიონატებში მონაწილეთა რაოდენობა) | 765 | 825 | 1050 |
| მწვრთნელთა რაოდენობა | 270 (0 ლიცენზირებული) | 300<br>(23 ლიცენზირებული) | 317<br>(55 ლიცენზირებული) |
| მსაჯთა, რაოდენობა | 6 | 10 | 12 |
| საქართველოში ჩატარებული საერთაშორისო<br>კატეგორიის შეჯიბრი (რაოდენობა) | ქვიშის ხელბურთის ევროპის ჩემპიონატი | U17 გოგონათა ევროპის ჩემპიონატის კვალიფიკაცია<br><br>ხელბურთში ახალგაზრდული ოლიმპიური ფესტივალი | მსოფლიო ერთა თასი<br><br>U17 გოგონათა ევროპის ჩემპიონატი |

GEORGIAN NATIONAL HANDBALL FEDERATION

1956

# სტრატეგიის მიზნები და მოსალოდნელი შედეგები

## 2020-2030

ხელბურთი - მეტი ვიდრე გამარჯვება

# მიზანი 1.

## ფედერაციის მმართველობის სისტემის გაუმჯობესება

ფედერაციის საქმიანობის ანალიზმა აჩვენა, რომ წესდებით განსაზღვრული მმართველი და ხელმძღვანელი ორგანოების (ყრილობა, პრეზიდიუმი, კომისიები) მუშაობა დაკავშირებულია მთელ რიგ გამოწვევებთან. ამ გამოწვევების გათვალისწინებით, ორგანიზაციის მმართველობის სისტემის გაუმჯობესებისთვის საჭიროა: ა) ფედერაციის სამართლებლივი ბაზის IHF-სა და EHF-ის მოქმედ დებულებებთან შესაბამისობაში მოყვანა და საორგანიზაციო სტრუქტურის დახვეწა; ბ) ფედერაციის ოფისისა და კომისიების საქმიანობის პროგრამების დაგეგმვისა და განხორციელების პროცესის გაუმჯობესება; გ) ფედერაციის მიერ განსახორციელებელი პროგრამების დაგეგმვისა და შესრულების პროცესში წევრი-სუბიექტების პროაქტიული მონაწილეობა; დ) ფედერაციაში დასაქმებულ პირთა პროფესიული უნარ-ჩვევების განვითარება; ე) კარგი მმართველობის პრინციპების ფართო გამოყენება.

**ამოცანა 1.1. ფედერაციის მმართველი და ხელმძღვანელი ორგანოების სამართებლივი ბაზის მოწესრიგება**

საქართველოს ხელბურთის ეროვნული ფედერაციას, როგორც იურიდიული სტატუსის მქონე ორგანიზაციას და IHF-ისა და EHF-ის სრულუფლებიან წევრს, გაანჩნია ვალდებულება ფედერაციის საქმიანობის განმსაზღვრელი სამართლებრივი აქტები სრულ თანხვედრაში ქონდეს საქართველოს მოქმედ კანონმდებლობასთან და საერთაშორისო და ევროპის ხელბურთის ფედერაციათა მოქმედ დებულებებთან.

**წინამდებარე ამოცანის შესრულების შემთხვევაში უზრუნველყოფილი იქნება:** ფედერაციის წესდებისა და სამართლებრივი აქტების საქართველოს მოქმედ კანონმდებლობასთან და საერთაშორისო და ევროპის ხელბურთის ფედერაციათა მოქმედ დებულებებთან სრული შესაბამისობაში მოყვანა.

განსაზღვრული იქნება ფედერაციის მმართველი ორგანოების სამოქმედო ამოცანები და მიზნები. საერთაშორისო სტანდარტებთან შესაბამისობაში მყოფი საარჩევნო სისტემა, ხელმძღვანელი და წარმომადგენლობითი უფლებამოსილების მქონე პირების არჩევის წესი, მათი უფლებებისა და პასუხისმგებლობების მასშტაბები, ფედერაციის ოფისისა და კომისიების მიერ შესასრულებელი ფუნქციების დეტალური აღწერილობა.

**ამოცანა 1.2. მკაფიო შიდა საორგანიზაციო სტრუქტურის ჩამოყალიბება და ეფექტიანი მუშაობის უზრუნველყოფა**

ფედერაციის სტრატეგიული მიზნების წარმატებით მიღწევა მნიშვნელოვნად არის დამოკიდებული ორგანიზაციის მენეჯმენტზე და მის უნარზე უზრუნველყოს თანმიმდევრული ღონისძიებების განხორციელება, მიიღოს დროული და ეფექტიანი გადაწყვეტილებები. ფედერაციის მმართველი სისტემის გაუმჯობესებისთვის, აუცილებლობას წარმოადგენს ორგანიზაციის შიდა საორგანიზაციო სტრუქტურის თითოეული რგოლის ამოცანებისა და ფუნქციების მკაფიოდ განსაზღვრა. უნდა გაუმჯობესდეს ფედერაციის სხვადასხვა მიმართულებით საქმიანობის შესაბამისი ინფორმაციისა და მონაცემების შენახვისა და განახლების პროგრამა. ამასთან, უნდა დაიხვეწოს ორგანიზაციის ფინანსური მონაცემების წარმოების სისტემა. ყოველივე აღნიშნული შექმნის შესაძლებლობას ფედერაციამ შემჭიდროვებულ ვადებში მოახდინოს საქმიანობის სხვადასხვა მონაცემების სიღრმისეული ანალიზი და დინამიკის შეფასება. ფედერაციის სისტემაში ერთ-ერთ დიდ გამოწვევას წარმოადგენს რეგიონული ფედერაციების სიმცირე და უმრავლეს შემთხვევაში მათი არადამაკმაყოფილებელი საქმიანობა. რეგიონებში ხელბურთის განვითარების და ეროვნულ დონეზე სპორტის სახეობის გეოგრაფიის გაფართოების პროცესში ფედერაციამ უნდა გადახედოს რეგიონული ფედერაციების საქმიანობის არსებულ მოდელს და შეიმუშავოს ახალი მიდგომა.

**წინამდებარე ამოცანის შესრულების შემთხვევაში უზრუნველყოფილი იქნება:** ფედერაციის გამართული სტრუქტურის ფუნქციონირება, პრეზიდიუმის საქმიანობის ოპტიმიზაცია, სტრატეგიული მიმართულებებისა და ამოცანების შესრულებაზე კონკრეტულად განსაზღვრული პრეზიდიუმის თითოეული წევრის ფუნქციები და პასუხისმგებლობები, პრეზიდიუმის გაზრდილი როლი ფედერაციის მენეჯმენტის საქმიანობის ზედამხედველობისა და შეფასების პროცესში. ფედერაციის კომისიების იურიდიული სტატუსები. დებულებებში მკაფიოდ ჩამოყალიბებული თითოეული კომისიის საქმიანობის პრინციპები და მიმართულებები, გამართული მონიტორინგის სისტემა. მენეჯერებს შორის დელეგირებული ფუნქციები და პასუხისმგებლობები, ოპერატიული გადაწყვეტილებების მიღებისა და შესრულების ჩამოყალიბებული კონტროლის მექანიზმი. რეგიონული ფედერაციების საქმიანობის მოდელი, დებულება და სამართლებრივი აქტები.

**ამოცანა 1.3 ფედერაციის მიერ განსახორციელებელი პროგრამების დაგეგმვისა და შესრულების პროცესში წევრი-სუბიექტების პროაქტიული მონაწილეობა**

განსაკუთრებით მნიშვნელოვანია ფედერაციის საქმიანობის ყველა ძირითადი მიმართულებით პროგრამების შემუშავების, განხორცილების, მონიტორინგისა და შეფასების სისტემის სრულყოფა.

ფედერაციის წევრი სუბიექტების (კლუბები, რეგიონული ფედერაციები, სპორტული გაერთიანებები) კომუნიკაციის გაუმჯობესების, ასევე ორგანიზაციის საქმიანობაში პროაქტიული მონაწილეობისთვის, მნიშვნელოვანია  წინასწარ დაგეგმილი დისკუსიების გამართვა საქმიანობის სხვადასხვა აქტუალურ საკითხზე, სამუშაო ჯგუფების ფორმირება და სიღრმისეული მსჯელობა, ასევე გამოცდილების გაზიარება და სიახლეებთან დაკავშირებით დროული ინფორმირება. აღნიშნული შექმნის დამატებით შესაძლებლობას ფედერაციის სტრატეგიული მიზნების განხორციელების ხელშეწყობისთვის და პრობლემურ საკითხზე კონსესუსის მიღწევისთვის.

პროგრამების დაგეგმვის პროცესში მნიშვნელოვანია კონკრეტული მიზნების, მოსალოდნელი შედეგების გაზომვის ინდიკატორების, აღსრულების ვადებისა და მექანიზმების მკაფიო განსაზღვრა, სხვადასხვა დაინტერესებული მხარეების საჭიროებების გათვალისწინება.

**წინამდებარე ამოცანის შესრულების შემთხვევაში უზრუნველყოფილი იქნება:** გაუმჯობესებული კომუნიკაცია ფედერაციის წევრ სუბიექტებს შორის. ფედერაციის სტრატეგიული მიზნებისა და ამოცანების შესრულების გადაწყვეტილებების მიღება ჯგუფური განხილვებისა და დისკუსიების გზით.

**ამოცანა 1.4. ფედერაციის თანამშრომელთა პროფესიული უნარების განვითარება**

თანამშრომლების მაღალ მოტივაციასთან ერთად, მათზე დაკისრებული ფუნქციების ეფექტური შესრულება წარმოადგენს ორგანიზაციის საქმიანობის გაუმჯობესების ქვაკუთხედს. ფედერაციამ უნდა უზრუნველყოს თანამშრომელთა საჭიროებებზე (მათი ფუნქციების გათვალისწინებით) მორგებული პროფესიული უნარების განვითარება. აღნიშნული გულისხმობს თანამშრომლების მონაწილეობას შესაბამის საგანმანათლებლო პროგრამებში, მაგალითად: ტრენინგები, სასწავლო კურსები, სემინარები და სხვა. ფედერაციამ უნდა უზრუნველყოს თანამშრომელთა რეგულარული მონაწილეობა საგანმანათლებლო პროგრამებში.

**წინამდებარე ამოცანის შესრულების შემთხვევაში უზრუნველყოფილი იქნება:** თანამშრომლის პროფესიული მოტივაცია და ინტერესის ზრდა, პროფესიული უნარებისა და მახასიათებლების განვითარება. დასაქმებულების მიერ დაკისრებული ფუნქცია-მოვალეობების ეფექტური  და ჯეროვანი შესრულება.

**ამოცანა 1.5. კარგი მმართველობის პრინციპების ფართო დანერგვა და გამოყენება**

კარგი მმართველობა არის პროცესი, რომლის განხორცილება უზრუნველყოფს ორგანიზაციის საქმიანობის ეფექტიანობას ზრდას და ქმნის გარემოს არსებული გამოწვევების გასამკლავებლად. სპორტული ორგანიზაციების მიერ კარგი მმართველობის პრინციპების გამოყენება ხელს უწყობს სანდო ურთიერთობებისა და წარმატებული თანამშრომლობის დამკვიდრებას სამთავრობო სტრუქტურებთან, კომერციულ, კერძო და პარტნიორ ორგანიზაციებთან. შედეგად, იზრდება სპორტული ორგანიზაციების დამოუკიდებლობის ხარისხი.

2019 წელს გამოქვეყნებული კვლევის „საქართველო - კარგი მმართველობის სტანდარტები ეროვნულ ფედერაციებში“ მიხედვით, ხელბურთის ფედერაციის კარგი მმართველობის საერთო ინდექსმა შეადგინა - 21%, განზომილებების მიხედვით ფედერაციის შედეგები: „გამჭვირვალეობა“- 21%, „დემოკრატიული პროცესები“ - 36%, „ანგარიშვალდებულება“ - 14%, „სოციალური პასუხისმგებლობა“ - 12%.

ფედერაცია უზრუნველყოფს შესაბამისი ქმედებების განხორციელებას, რათა გააფართოვოს კარგი მმართველობის პრინციპების გამოყენება და მიაღწიოს „კარგ“ შესრულებას, რაც შეესაბამება 60-დან 79-მდე პროცენტულ მაჩვენებელს. აღნიშნული ითვალისწინებს სხვადასხვა ინფორმაციის დამუშავებას და ვებ-გვერდზე გამოქვეყნებას, შიდა რეგულაციებისა და პროცედურების განსაზღვრას და შემოღებას, საქმიანობის მონიტორინგისა და შეფასების სისტემის დანერგვას, ასევე სხვადასხვა სახის პროგრამების განხორციელებას და სხვა.

| მიზანი 1. ფედერაციის მმართველობის სისტემის გაუმჯობესება | | | | |
|---|---|---|---|---|
| ამოცანის ინდიკატორი | საბაზისო მაჩვენებელი, 2021 | შუალედური მაჩვენებელი, 2025 | სამიზნე მაჩვენებელი, 2030 | დადასტურების წყარო |
| **ამოცანა 1.1. ფედერაცია-ს მმართველი და ხელმძღვანელი ორგანოების საქმიანობის გაუმჯობესება** | | | | |
| ეროვნული ფედერაციის წესდება და სხვა რეგულაციები მოყვანილია შესაბამისობაში საქართველოს მოქმედ კანონმდებლობასთან, IHF-ისა და EHF-სამართლებრივ ბაზის მოთხოვნებთან | ფედერაციის დამტკიცებულ სამართლებრივ ბაზაში (წესდება, დებულებები) ასახულია საქართველოს კანონმდებლობის, IHF-ისა და EHF-ს რეკომენდაციები და მოთხოვნები | ფედერაციის სამართლებრივი ბაზა შესაბამისობაშია საქართველოს კანონმდებლობასთან, IHF-ისა და EHF-ს მოქმედ იურიდიულ დოკუმენტაციასთან | ფედერაციის სამართლებრივი ბაზა შესაბამისობაშია საქართველოს კანონმდებლობასთან, IHF-ისა და EHF-ს მოქმედ იურიდიულ დოკუმენტაციასთან | იურიდიულ პირთა მარეგისტრირებელი ორგანოს პორტალი, IHF, EHF, ეროვნული ფედერაცია |
| **ამოცანა 1.2. მკაფიო შიდა საორგანიზაციო სტრუქტურის ჩამოყალიბება და ეფექტიანი მუშაობის უზრუნველყოფა** | | | | |
| ფედერაციის სტრუქტურისა და კომისიების იურიდიული სტატუსების წესდების მოთხოვნებთან შეესაბამისობაში მოყვანა<br><br>რეგიონული ფედერაციების საქმიანობის მოდელის შემუშავება | დამტკიცებულია ფედერაციის სტრუქტურა და კომისიათა დებულებები.<br><br>დამტკიცებულია რეგიონალური ფედერაციების საქმიანობის მოდელი | ფედერაციის საორგანიზაციო სტრუქტურა განახლებულია, მკაფიოდ განსაზღვრულია ოფისის ყველა თანამშრომლის სამუშაო აღწერილობები<br><br>რეგიონალური ფედერაციები საქმიანობენ ახალი მოდელის ფარგლებში | ფედერაციის ოფისის ყველა თანამშრომელი საქმიანობს ორგანიზაციის განახლებული სტრუქტურისა და მკაფიოდ განსაზღვრული სამუშაო აღწერილობების შესაბამისად<br><br>რეგიონალური ფედერაციები საქმიანობენ ახალი მოდელის ფარგლებში | ეროვნული ფედერაცია |
| **ამოცანა 1.3. ფედერაციის მიერ განსახორციელებელი პროგრამები** | | | | |
| ფედერაციის შედეგზე ორიენტირებული სამოქმედო პროგრამებისა და მათი განხორციელების მონიტორინგისა და შეფასების კრიტერიუმების დამტკიცება | დამტკიცებულია ფედერაციის სამოქმედო პროგრამები<br><br>შემუშავებულია სამოქმედო პროგრამების განხორციელების მონიტორინგისა და შეფასების კრიტერიუმები | ფედერაციის ყველა სამოქმედო პროგრამა პასუხობს შედეგზე ორიენტირებულ მიდგომას. წინასწარ განსაზღვრულია: მიზანი, ამოცანა, მოსალოდნელი შედეგები, ინდიკატორები, განხორციელების გზები, ბიუჯეტები, პასუხისმგებელი პირები. | ფედერაციის ყველა სამოქმედო პროგრამა პასუხობს შედეგზე ორიენტირებულ მიდგომას. წინასწარ განსაზღვრულია: მიზანი, ამოცანა, მოსალოდნელი შედეგები, ინდიკატორები, განხორციელების გზები, ბიუჯეტები, პასუხისმგებელი პირები. | ეროვნული ფედერაცია |

| მიზანი 1. ფედერაციის მმართველობის სისტემის გაუმჯობესება | | | | |
|---|---|---|---|---|
| ამოცანის ინდიკატორი | საბაზისო მაჩვენებელი, 2021 | შუალედური მაჩვენებელი, 2025 | სამიზნე მაჩვენებელი, 2030 | დადასტურების წყარო |
| **ამოცანა 1.4. ფედერაციის თანამშრომელთა პროფესიული უნარების განვითარება** | | | | |
| კვალიფიკაციის ამაღლებისა და სხვადასხვა საგანმანათლებლო პროგრამებში თანამშრომელთა ჩართულობა | თანამშრომელთა % წილი, რომლებმაც კალენდარული წლის განმავლობაში მონაწილეობა მიიღეს კვალიფიკაციის ამაღლებისა და სხვადასხვა საგანმანათლებლო პროგრამებში არის - 30% | თანამშრომელთა % წილი, რომლებმაც კალენდარული წლის განმავლობაში მონაწილეობა მიიღეს კვალიფიკაციის ამაღლებისა და სხვადასხვა საგანმანათლებლო პროგრამებში არის 60% | თანამშრომელთა % წილი, რომლებმაც კალენდარული წლის განმავლობაში მონაწილეობა მიიღეს კვალიფიკაციის ამაღლებისა და სხვადასხვა საგანმანათლებლო პროგრამებში არის - 80% | ფედერაცია |
| **ამოცანა 1.5. კარგი მმართველობის პრინციპების უფრო ფართო დანერგვა და გამოყენება** | | | | |
| ფედერაციის კარგი მმართველობის მიმოხილვის ინდექსი შეესაბამება National Sports Governance Observer Index-ის მოთხოვნებს | საერთო ინდექსი - 23%<br>გამჭვირვალეობა - 32%<br>დემოკრატიული პროცესები - 38%<br>ანგარიშვალდებულება - 13%<br>სოციალური პასუხისმგებლობა - 9% | საერთო ინდექსი - 60%<br>გამჭვირვალეობა - 70%<br>დემოკრატიული პროცესები - 65 %<br>ანგარიშვალდებულება - 50%<br>სოციალური პასუხისმგებლობა - 55% | საერთო ინდექსი - 76%<br>გამჭვირვალეობა - 87%<br>დემოკრატიული პროცესები - 78 %<br>ანგარიშვალდებულება - 70%<br>სოციალური პასუხისმგებლობა - 68% | სპორტზე პასუხისმგებელი სამინისტრო, საქართველოს პარლამენტი, NSGO კვლევა |

# მიზანი 2.

## ეროვნული საშეჯიბრო სისტემის გაძლიერება და უწყვეტი სათამაშო სეზონის უზრუნველყოფა

ფედერაცია მნიშვნელოვან ყურადღებას უთმობს კლუბებისა და ნაკრები გუნდების სათამაშო კალენდრების შედგენასა და თამაშების ჩატარების სისტემების დახვეწას, მრავალფეროვანი და უწყვეტი სათამაშო სეზონის უზრუნველსაყოფად. ბოლო წლებში საქართველოს ეროვნული და ახალგაზრდული ნაკრები გუნდები სისტემატიურად მონაწილეობენ მსოფლიოსა და ევროპის ჩემპიონატების გათამაშებებში, სტაბილურად იმართება რვა-რვა გუნდიანი ეროვნული ჩემპიონატები, ეროვნული თასის გათამაშებები, როგორც კაცთა, ისე ქალთა გუნდებს შორის, ინერგება პირველი ლიგის გუნდების თამაშები. განსაკუთრებით აღსანიშნავია ასაკობრივი ჩემპიონატების (ტარდება როგორც, ვაჟთა, ისე გოგონათა გუნდებს შორის, ორ ასაკობრივ ჯგუფში) რაოდენობა. ქვიშის ხელბურთის ჩემიონატში ასევე მონაწილეობს  რვა-რვა კაცთა და ქალთა გუნდი.

ამ კუთხით მუშაობა დაკავშირებულია მთელ რიგ გამოწვევებთან და ამ გამოწვევების გათვალისწინებით, გუნდების სეზონური სათამაშო კალენდრების შედგენისა და თამაშების ჩატარების სისტემების დახვეწის, მრავალფეროვანი და უწყვეტი სათამაშო სეზონის უზრუნველსაყოფად საჭიროა: ა) სანაკრებო და ეროვნული საშეჯიბრო სისტემის სამართლებრივი ბაზის დახვეწა; ბ) მრავალფეროვანი და უწყვეტი სათამაშო სეზონის კალენდრების სრულყოფა და საერთაშორისო კალენდრებთან თანხვედრაში მოყვანა; გ) ეროვნული და ასაკობრივი  ჩემპიონატები; დ) საშეჯიბრო სისტემაში ჩართული მომსახურე პერსონალის რაოდენობის ზრდა და კვალიფიკაციის ამაღლება;

**ამოცანა 2.1. ეროვნული  საშეჯიბრო სისტემის სამართლებრივი ბაზის დახვეწა**

ეროვნული  საშეჯიბრო სისტემის გაძლიერების ერთ-ერთ წინაპირობას წარმოადგენს  საშეჯიბრო სისტემის ფუნქციონირების მკაფიო სამართლებრივი რეგულაციების არსებობა. აღნიშნული ითვალისწინებს შეჯიბრებების დებულებების, რეგლამენტების, წესების და სხვა სამართლებრივი დოკუმენტების დახვეწას საერთაშორისო და ევროპის ხელბურთის ფედერაციების დებულებებთან სრულ შესაბამისობაში მოყვანას.

**წინამდებარე ამოცანის შესრულების შემთხვევაში უზრუნველყოფილი იქნება:** ეროვნული საშეჯიბრო სისტემის ფუნქციონირების მომწესრიგებელი სამართლებრივი დოკუმენტების სრული შესაბამისობა საერთაშორისო და ევროპის ხელბურთის ფედერაციათა დებულებებთან და მოთხოვნებთან.

**ამოცანა 2.2. მრავალფეროვანი და უწყვეტი სათამაშო სეზონის უზრუნველყოფა და მისი ორგანიზების სრულყოფა**

საერთაშორისო და ევროპის ხელბურთის ფედერაციის სათამაშო კალენდრის გათვალისწინებით, სათამაშო სეზონი იწყება სექტემბრის თვეში და მთავრდება მომავალი წლის აგვისტოში. ხელბურთის სათამაშო სეზონი აერთიანებს შემდეგ ძირითად კომპონენტებს: ეროვნული და ახალგაზრდული ნაკრები გუნდების თამაშები, ეროვნული და ასაკობრივი ჩემპიონატები, ეროვნული თასის თამაშები, ქვიშის ხელბურთის ჩემპიონატები,  სასკოლო ოლიმპიადის თამაშები, ახალგაზრდული ტურნირები და ფესტივალები. ხელბურთის მიმართ მაღალი ინტერესი მნიშვნელოვნად არის დამოკიდებული მრავალფეროვან და უწყვეტ სათამაშო სეზონზე, რომელიც განაპირობებს: სპორტსმენთა სათამაშო პრაქტიკის გამდიდრებას და მათი ოსტატობის დახვეწას, თამაშის ხარისხის გაუმჯობესებას, გულშემატკივართა ინტერესის ზრდას, ასევე მრავალფეროვანი მარკეტინგული პროდუქტების შექმნას. უწყვეტი სათამაშო კალენდარის უზრუნველყოფის მიზნით, დასაძლევია რიგი გამოწვევები, მათ შორის, ა)  კალენდარში საერთაშორისო და ევროპის ხელბურთის ფედერაციების მოქმედი კალენდრების მოთხოვნების გათვალისწინება საერთაშორისო სტანდარტებით დადგენილი პირობების შესაბამისად. ბ) ფედერაციის მიერ ორგანიზებულ ღონისძიებებში ჩართული სუბიექტების: ეროვნული და ახალგაზრდული ნაკრებების, კლუბებისა და გუნდების მრავალფეროვანი ინტერესებისა და შეხედულებების გათვალისწინება.

**წინამდებარე ამოცანის შესრულების მიზნით უზრუნველყოფილი იქნება**:  ა) სათამაშო სეზონის დაწყებამდე, მინიმუმ 6 კვირით ადრე, ყველა მონაწილის ჩართულობით ფედერაციის სპორტული კალენდრის საბოლოო ვერსიის დამტკიცება (საერთაშორისო სანაკრებო, ეროვნული და ახალგაზრდული ჩემპიონატების და ქვიშის ხელბურთის გუნდების მიზნების და მოსაზრებების გათვალისწინებით).

**ამოცანა 2.3. დარბაზისა და ქვიშის ხელბურთში ეროვნული და ასაკობრივი ჩემპიონატები**

ქვეყანაში ხელბურთის განვითარების მნიშვნელოვან წინაპირობას წარმოადგენს სპორტული შეჯიბრებები და თამაშების სიმრავლე. ამ მიზნით, ფედერაციის გამოწვევად ჩამოყალიბდა ეროვნული და ასაკობრივი ჩემპიონატების და მათში მონაწილე გუნდების რაოდენობის ზრდა.

ფედერაციის გეგმის თანახმად, 2020-2021 წლების სპორტული სეზონიდან დაგეგმილია 14 სხვადასხვა კატეგორიის ტურნირის ჩატარება ეროვნულ დონეზე, კერძოდ: ეროვნული ჩემპიონატი კაცთა გუნდებს შორის; ეროვნული ჩემპიონატი ქალთა გუნდებს შორის; პირველი ლიგის ჩემპიონატი კაცთა გუნდებს შორის; პირველი ლიგის ჩემპიონატი ქალთა გუნდებს შორის; U16 ვაჟთა გუნდებს შორის; U16 გოგონათა გუნდებს შორის; U14 ვაჟთა გუნდებს შორის; U14 გოგონათა გუნდებს შორის; U12 ვაჟთა გუნდებს შორის; U12 გოგონათა გუნდებს შორის; ქვიშის ხელბურთის ჩემპიონატი ქალთა გუნდებს შორის; ქვიშის ჩემპიონატი კაცთა გუნდებს შორის.

ფედერაციის მიზანს წარმოადგენს, ყველა ჩემპიონატის ფარგლებში, ჩაატაროს არანაკლებ - 900 თამაში. მათ შორის, განსაკუთრებით მნიშვნელოვანია ჩემპიონატის თამაშების სიმრავლე U16, U14 და U12 ჩემპიონატის მონაწილე გუნდებისათვის. რადგან მაქსიმალურად მოხდეს ახალი ხელბურთელების მოძიება და მათი შემდგომი გადამზადება თაობათა ცვლის უმტკივნეულო პროცესისათვის, როგორც ეროვნული ჩემპიონატების, ასევე ნაკრების დონეზე.

**წინამდებარე ამოცანის შესრულების მიზნით უზრუნველყოფილი იქნება**: საქართველოს ჩემპიონატებში მონაწილეობას მიიღებს 140 გუნდი, 2900 სპორტსმენი და გაიმართება 900 მეტი მატჩი.

**ამოცანა 2.4 ეროვნული ჩემპიონატების საპრიზო ფონდი**

მნიშვნელოვანია ეროვნულ ჩემპიონატებში მონაწილე კლუბების წევრების ფინანსური წახალისების სისტემის დანერგვა. გათვალისწინებით იმ გარემოებისა, რომ კლუბების მოთამაშეების უმრავლესობა არ არის პროფესიონლი სპორტსმენი და ისინი დასაქმებული არიან სხვადასხვა სამსახურებში, ან სწავლობენ უნივერსიტეტებში მათი ფინანსური წახალისების მიზნით მნიშვნელოვანია შეიქმნას ჩემპიონატების საპრიზო ფონდი, რომელიც გადანაწილდება ჩემპიონატის მონაწილე კლუბებზე თამაშების შედეგების შესაბამისად. ამ პროგრამის განხორციელება ხელს შეუწყობს მოთამაშეების და მწვრთნელების ფინანსურ წახალისებას.

**წინამდებარე ამოცანის შესრულების მიზნით უზრუნველყოფილი იქნება**: ჩემპიონატების საპრიზო ფონდების შექმნა;

**ამოცანა 2.5 შიდა ჩემპიონატების მსაჯები და მომსახურე პერსონალი**

ჩემპიონატების ჩატარების მაღალ დონეზე ორგანიზების უზრუნველსაყოფად აუცილებელია მაღალი კვალიფიკაციის საშეჯიბრო სტაფის არსებობა, რის გათვალისწინებითაც ფედერაციამ უნდა უზრუნველყოს მატჩების დელეგატების, მსაჯების და სხვა მომსახურე პერსონალის რაოდენობის ზრდა და მათი კვალიფიკაციის ამაღლება.

**წინამდებარე ამოცანის შესრულების მიზნით უზრუნველყოფილი იქნება**: საშეჯიბრო სისტემაში ჩართული მომსახურე პერსონალის რაოდენობის ზრდა და კვალიფიკაციის ამაღლება;

| მიზანი 2. ფედერაციის საშეჯიბრო სისტემის გაძლიერება და უწყვეტი სათამაშო სეზონის უზრუნველყოფა | | | | |
|---|---|---|---|---|
| ამოცანის ინდიკატორი | საბაზისო მაჩვენებელი, 2021 | შუალედური მაჩვენებელი, 2025 | სამიზნე მაჩვენებელი, 2030 | დადასტურების წყარო |
| **ამოცანა 2.1. ფედერაციის საშეჯიბრო სისტემის სამართლებრივი ბაზის დახვეწა** | | | | |
| ჩემპიონატების დებულებები | ფედერაციის ეგიდით გამართული შეჯიბრებების დებულებები შეესაბამება IHF-ისა და EHF-ის სტანდარტებს | ფედერაციის ეგიდით გამართულ ყველა შეჯიბრის დებულება სრულად შეესაბამება IHF-ისა და EHF-ის სტანდარტებს<br><br>შეჯიბრებებში მონაწილე ყველა სუბიექტის უფლებები, ვალდებულებები, პასუხისმგებლობა, ასევე სადიციპლინო წესები განახლებულია, მკაფიოდ განსაზღვრულია და დამტკიცებულია | ფედერაციის ეგიდით გამართულ ყველა შეჯიბრის დებულება სრულად შეესაბამება IHF-ისა და EHF-ის სტანდარტებს<br><br>შეჯიბრებებში მონაწილე ყველა სუბიექტის უფლებები, ვალდებულებები, პასუხისმგებლობა, ასევე სადიციპლინო წესები განახლებულია, მკაფიოდ განსაზღვრულია და დამტკიცებულია | ფედერაცია<br>EHF |
| **ამოცანა 2.2. მრავალფეროვანი და უწყვეტი სათამაშო სეზონის უზრუნველყოფა და მისი ორგანიზების სრულყოფა** | | | | |
| ფედერაციის სპორტული ყოველწლიური კალენდარი | სათამაშო სეზონის დაწყებამდე, მინიმუმ 6 კვირით ადრე დამტკიცებულია საერთაშორისო სანაკრებო შეკრებებისა და ოფიციალური თამაშების, ეროვნული და ახალგაზრდული ჩემპიონატების, ასევე ქვიშის ხელბურთის თამაშების კალენდრები. | სათამაშო სეზონის დაწყებამდე, მინიმუმ 6 კვირით ადრე დამტკიცებულია საერთაშორისო სანაკრებო შეკრებებისა და ოფიციალური თამაშების, ეროვნული და ახალგაზრდული ჩემპიონატების, ასევე ქვიშის ხელბურთის, ეტლით მოსარგებლეთა ხელბურთის მატჩებისა და საბავშვო ფესტივალების კალენდრები | სათამაშო სეზონის დაწყებამდე, მინიმუმ 6 კვირით ადრე დამტკიცებულია საერთაშორისო სანაკრებო შეკრებებისა და ოფიციალური თამაშების, ეროვნული და ახალგაზრდული ჩემპიონატების, ასევე ქვიშის ხელბურთის, ეტლით მოსარგებლეთა ხელბურთის მატჩებისა და საბავშვო ფესტივალების კალენდრები | ფედერაცია |

| მიზანი 2. ფედერაციის საშჯიბრო სისტემის გაძლიერება და უწყვეტი სათამაშო სეზონის უზრუნველყოფა | | | | |
|---|---|---|---|---|
| ამოცანის ინდიკატორი | საბაზისო მაჩვენებელი, 2021 | შუალედური მაჩვენებელი, 2025 | სამიზნე მაჩვენებელი, 2030 | დადასტურების წყარო |
| **ამოცანა 2.3. დარბაზისა და ქვიშის ხელბურთში ეროვნული და ასაკობრივი ჩემპიონატები** | | | | |
| დარბაზისა და ქვიშის ხელბურთში ეროვნული და ასაკობრივი ჩემპიონატები | დარბაზისა და ქვიშის ხელბურთში ეროვნულ და ასაკობრივ ჩემპიონატები მონაწილეობს:<br>100 გუნდი,<br>1850 სპორტსმენი,<br>ტარდება 650-ზე მეტი მატჩი | დარბაზისა და ქვიშის ხელბურთში ეროვნულ და ასაკობრივ ჩემპიონატები მონაწილეობს:<br>140 გუნდი,<br>2900 სპორტსმენი,<br>ტარდება 900-ზე მეტი მატჩი | დარბაზისა და ქვიშის ხელბურთში ეროვნულ და ასაკობრივ ჩემპიონატები მონაწილეობს:<br>300 გუნდი,<br>7000 სპორტსმენი,<br>ტარდება 2100-ზე მეტი მატჩი | ფედერაცია |
| **ამოცანა 2.4 ეროვნული ჩემპიონატების საპრიზო ფონდი** | | | | |
| ეროვნული ჩემპიონატების საპრიზო ფონდის ზრდის დინამიკა | საქართველოს ეროვნულ ჩემპიონატებში მონაწილე კლუბები დებულების შესაბამისად ინაწილებენ ჩემპიონატების საპრიზო ფონდს, | საქართველოს ეროვნულ ჩემპიონატებში მონაწილე კლუბების საპრიზო ფონდი გაზრდილია - 50% | საქართველოს ეროვნულ ჩემპიონატებში მონაწილე კლუბების საპრიზო ფონდი გაზრდილია - 70% | ფედერაცია |
| **ამოცანა 2.5 შიდა ჩემპიონატების მსაჯები და მომსახურე პერსონალი** | | | | |
| შიდა ჩემპიონატების მსაჯები და მომსახურე პერსონალი | დელეგატთა რაოდენობა:<br>7 (კაცი - 3, ქალი -4)<br>მსაჯთა რაოდენობა:<br>12 (კაცი - 9, ქალი - 3)<br>ტაიმ-კიპერების რაოდენობა:<br>10 (კაცი - 8, ქალი - 2)<br>მატჩის მდივნების რაოდენობა:<br>10 (კაცი - 2, ქალი - 8) | დელეგატთა რაოდენობა:<br>15 (კაცი - 8, ქალი -7)<br>მსაჯთა რაოდენობა:<br>30 (კაცი - 20, ქალი - 10)<br>ტაიმ-კიპერების რაოდენობა:<br>20 (კაცი - 7, ქალი - 13)<br>მატჩის მდივნების რაოდენობა:<br>20 (კაცი - 6, ქალი -14) | დელეგატთა რაოდენობა:<br>20 (კაცი - 11, ქალი - 9)<br>მსაჯთა რაოდენობა:<br>40 (კაცი - 28, ქალი - 12)<br>ტაიმ-კიპერების რაოდენობა:<br>24 (კაცი - 8, ქალი - 16)<br>მატჩის მდივნების რაოდენობა:<br>24 (კაცი - 8, ქალი - 16) | ფედერაცია |

# მიზანი 3.

## ნაკრები გუნდების საერთაშორისო კონკურენტუნარიანობის ზრდა

ევროპის ხელბურთის ფედერაციის პირობითი რეიტინგების მიხედვით, საქართველოს ეროვნული და ასაკობრივი ნაკრები გუნდები ევროპის 50 ქვეყანას შორის პირველ 30-ეულშია. საგულისხმოა, რომ მაქსიმალურად დაცულია გენდერული პარიტეტი. ფედერაციის მიერ ფორმირებულია, როგორც კაცთა, ისე ქალთა ეროვნული და ასაკობრივი ნაკრები გუნდები და უზრუნველყოფილია მათი მონაწილეობა საერთაშორისო შეჯიბრებებში.

ნაკრები გუნდების შემდგომი საერთაშორისო კონკურენტუნარიანობის ზრდის გაუმჯობესებისათვის საჭიროა: ა) საერთაშორისო კალენდრების შესაბამისად ეროვნული ნაკრები გუნდების მოკლევადიანი და გრძელვადიანი მზადების გეგმის ფორმირება, ბ) მოთამაშეთა სელექცია, საერთაშორისო სტანდარტებით განსაზღვრული ნორმატივების შესრულების მიხედვით; გ) ეროვნული და ასაკობრივი ნაკრები გუნდებისათვის მაღალკვალიფიციური მწვრთნელების, ექიმების, ფსიქოლოგებისა და სხვა სპეციალისტების მომსახურების შესყიდვის უზრუნველყოფა; დ) ნაკრები გუნდების წევრთა მოტივაციის ასამაღლებლად და მხარდასაჭერად სტიპენდირების პროგრამის ამოქმედება;

**ამოცანა 3.1. ნაკრები გუნდების მზადების სრულყოფილი პროცესის უზრუნველყოფა**

ნაკრები გუნდების საერთაშორისო კონკურენტუნარიანობის ზრდის და რეიტინგების გაუმჯობესების მნიშვნელოვან წინაპირობას წარმოადგენს გუნდების რეგულარული შეკრებების, ტესტ მატჩებისა და საერთაშორისო შეჯიბრებებში მონაწილეობის ორგანიზება. ყოველივე ეს ხელს უწყობს ნაკრები გუნდების ტაქტიკურ, ტექნიკურ, ფიზიკურ და მენტალურ მომზადებას, ასევე გუნდური სულისკვეთების ამაღლებას, რაც, საერთო ჯამში, უმნიშვნელოვანესი წინაპირობაა ევროპის და მსოფლიოს ჩემპიონატებზე, ასევე ოლიმპიადაზე მაღალი მიზნებისათვის საბრძლოველად. წინამდებარე ამოცანის ფარგლებში, საერთაშორისო და ევროპის ხელბურთის ფედერაციათა მიერ დამტკიცებული კალენდრების მიხედვით, უზრუნველყოფილი იქნება თითოეული ნაკრები გუნდის მოკლევადიანი (1 წელი) და გრძელვადიანი (4 წელი) მზადების გეგმების ფორმირება.

**წინამდებარე ამოცანის შესრულების შემთხვევაში უზრუნველყოფილი იქნება:** საერთაშორისო და ევროპის ხელბურთის ფედერაციათა კალენდრების მიხედვით თითოეული ნაკრები გუნდის მოკლევადიანი და გრძელვადიანი მზადების გეგმების დამტკიცება.

**ამოცანა 3.2. მოთამაშეთა სელექცია, მათ მიერ საერთაშორისო სტანდარტებით განსაზღვრული ნორმატივების შესრულება**

საერთაშორისო ასპარეზზე ქართული ხელბურთის შედეგების გაუჯობესების ერთ-ერთ წინაპირობას ძლიერი სასელექციო პოლიტიკა და ეროვნული ნაკრებისთვის შესაბამისად მომზადებული რეზერვის შექმნა წარმოადგენს. მოცემული დროისათვის, ეროვნული ნაკრები გუნდების (კაცები, ქალები) რეზერვის ფორმირება დაწყებულია ასაკობრივ ნაკრებ გუნდებში.

ფედერაცია უზრუნველყოფს - ასაკობრივი ნაკრები გუნდების წევრთა ჯგუფური და ინდივიდუალური მზადების პროგრამების შემუშავებას ნაკრები გუნდების მწვრთნელთა შტაბის მეშვეობით.

ფედერაცია უზრუნველყოფს სხვადასხვა თანამედროვე ელექტრონული სისტემების დანერგვას, რაც შესაძლებელს გახდის შეიქმნას ერთიანი ბაზა ნაკრების მწვრთნელთა და მოთამაშეთა მონაცემების, სავარჯიშო პროცესის დაგეგმვის, სტატისტიკური მონაცემების აღრიცხვისა და სხვა სპორტული აქტივობების შესახებ.

**წინამდებარე ამოცანის შესრულების შემთხვევაში უზრუნველყოფილი იქნება:** ა) ეროვნული (როგორც ქალთა ისე კაცთა) ნაკრები გუნდებისათვის ხარისხიანი რეზერვის შექმნა. ბ) მართვის თანამედროვე ელექტრონული სისტემების დანერგვა.

## ნაკრები გუნდების საერთაშორისო კონკურენტუნარიანობის ზრდა

**ამოცანა 3.3. ეროვნული და ასაკობრივი ნაკრები გუნდების სამწვრთნელი შტაბების დაკომპლექტება**

ნაკრები გუნდების მაღალი მიღწევების ხელშეწყობისთვის, კიდევ ერთ უმნიშვნელოვანეს წინაპირობას წარმოადგენს კვალიფიციური და გამოცდილი სამწვრთნელი შტაბი. ფედერაცია უზრუნველყოფს ეროვნული და ასაკობრივი ნაკრები გუნდებისთვის მაღალკვალიფიციური და გამოცდილი მწვრთნელების, ექიმების, ფსიქოლოგებისა და სხვა სპეციალისტების მომსახურების შესყიდვას. ფედერაციის მიზანს წარმოადგენს საერთაშორისო კატეგორიის უცხოელ მწვრთნელებთან თანამშრომლობა, ხოლო, შიდა დონეზე, ადგილობრივი მწვრთნელების განვითარებაზე ზრუნვა, მათი ჩართვა სხვადასხვა საერთაშორისო, სალიცენზიო სწავლებებში, მათ შორის, Master Coach-ის თემატურ კურსებში. პარალელურად, ფედერაციამ უნდა უზრუნველყოს ნაკრები გუნდების გაძლიერების მიზნით, სხვადასხვა ღონისძიებების (მაგ.: სამუშაო შეხვედრები, სემინარები, მასტერ-კლასები და სხვა) განხორციელებით ხელი შეუწყოს ეროვნული და ასაკობრივი ნაკრები გუნდების საწვრთნელო შტაბის წევრთა შორის თანამშრომლობას და კომუნიკაციას. ეროვნული და ასაკობრივი ნაკრები გუნდების საწვრთნელი შტაბის დაკომპლექტება ასევე ითვალისწინებს ნაკრები გუნდის (გუნდების) წევრებისთვის ხარისხიანი სამედიცინო მომსახურების ხელმისაწვდომობას და სპორტული ფსიქოლოგის მხარდაჭერას, ფიზიკური მომზადების მწვრთნელისა და ფიზიოთერაპევტის მომსახურებას.

**წინამდებარე ამოცანის შესრულების შემთხვევაში უზრუნველყოფილი იქნება:** ა) საწვრთნელი შტაბები დაკომპლექტება მაღალკვალიფიციური და გამოცდილი მწვრთნელებით. ბ) ნაკრები გუნდის წევრების უზრუნველყოფა სამედიცინო და ფსიქოლგიური მომსახურებით.

**ამოცანა 3.4. ნაკრები გუნდების წევრთა მოტივაციის ასამაღლებლად სხვადასხვა პროგრამების ამოქმედება**

მნიშვნელოვანია ნაკრები გუნდების წევრების ფინანსური წახალისების სისტემის დანერგვა საბაზისო დონეზე. გათვალისწინებით იმ გარემოებისა, რომ ნაკრები გუნდების სპორტსმენები თავის დროის უმეტეს ნაწილს უთმობენ სპორტულ აქტივობებს (ფიზიკურ, ტაქტიკურ, თეორიულ მეცადინეობებს) მათთვის, რთული ხდება დამატებითი სამუშაოს შესრულება (დასაქმება) და პირადი მატერიალური რესურსის გამომუშავება, ამ მიზნით, სპორტსმენებს, რომლებიც ჩაირიცხებიან ეროვნულ ან ასაკობრივ ნაკრებ გუნდებში დაენიშნებათ სტიპენდირები.

**წინამდებარე ამოცანის შესრულების შემთხვევაში უზრუნველყოფილი იქნება:** ფედერაციის მიერ ეროვნული და ასაკობრივი ნაკრები გუნდების დონეზე სტიპენდირების გამართული პროგრამის ფუნქციონირება.

| მიზანი 3. ნაკრები გუნდების საერთაშორისო კონკურენტუნარიანობის ზრდა | | | | |
|---|---|---|---|---|
| ამოცანის ინდიკატორი | საბაზისო მაჩვენებელი, 2021 | შუალედური მაჩვენებელი, 2025 | სამიზნე მაჩვენებელი, 2030 | დადასტურების წყარო |
| **ამოცანა 3.1. ნაკრები გუნდების მზადების სრულყოფილი პროცესის უზრუნველყოფა** | | | | |
| EHF-ის პირობითი რეიტინგი ნაკრები გუნდებისთვის | საქართველოს კაცთა ეროვნული ნაკრები ევროპის საუკეთესო 36-შია<br><br>საქართველოს ქალთა ეროვნული ნაკრები ევროპის საუკეთესო 36-შია<br><br>საქართველოს ვაჟთა ახალგაზრდული ნაკრები ევროპის საუკეთესო 28-შია<br><br>საქართველოს გოგონათა ახალგაზრდული ნაკრები გუნდები ევროპის საუკეთესო 26-შია | საქართველოს კაცთა ეროვნული ნაკრები ევროპის საუკეთესო 24-შია<br><br>საქართველოს ქალთა ეროვნული ნაკრები ევროპის საუკეთესო 24-შია<br><br>საქართველოს ვაჟთა ახალგაზრდული ნაკრები ევროპის საუკეთესო 20-შია<br><br>საქართველოს გოგონათა ახალგაზრდული ნაკრები გუნდები ევროპის საუკეთესო 18-შია | საქართველოს კაცთა ეროვნული ნაკრები ევროპის საუკეთესო 15-შია<br><br>საქართველოს ქალთა ეროვნული ნაკრები ევროპის საუკეთესო 20-შია<br><br>საქართველოს ვაჟთა ახალგაზრდული ნაკრები ევროპის საუკეთესო 15-შია<br><br>საქართველოს გოგონათა ახალგაზრდული ნაკრები გუნდები ევროპის საუკეთესო 15-შია | EHF National Teams rankings |
| დამტკიცებული პროგრამების მიხედვით ხორციელდება ეროვნული და ასაკობრივი ნაკრები გუნდების ყოველწლიური შეკრებები და მონაწილობა მსოფლიო და ევროპის ჩემპიონატებში, სხვადასხვა საერთაშორისო შეჯიბრებებში | ყოვეწლიური შეკრებების რაოდენობა<br><br>ა) კაცთა ეროვნული ნაკრები: არანაკლებ - 5;<br><br>ბ) ქალთა ეროვნული ნაკრები: არანაკლებ - 5;<br><br>გ) ვაჟთა ახალგაზრდული ნაკრები: არანაკლებ - 3;<br><br>დ) გოგონათა ახალგაზრდული ნაკრები: არანაკლებ - 3; | ყოვეწლიური შეკრებების რაოდენობა<br><br>ა) კაცთა ეროვნული ნაკრები: არანაკლებ - 6;<br><br>ბ) ქალთა ეროვნული ნაკრები: არანაკლებ - 6;<br><br>გ) ვაჟთა ახალგაზრდული ნაკრები: არანაკლებ - 4;<br><br>დ) გოგონათა ახალგაზრდული ნაკრები: არანაკლებ - 4; | ყოვეწლიური შეკრებების რაოდენობა<br><br>ა) კაცთა ეროვნული ნაკრები: არანაკლებ - 6;<br><br>ბ) ქალთა ეროვნული ნაკრები: არანაკლებ - 6;<br><br>გ) ვაჟთა ახალგაზრდული ნაკრები: არანაკლებ - 5;<br><br>დ) გოგონათა ახალგაზრდული ნაკრები: არანაკლებ - 5; | |

| მიზანი 3. ნაკრები გუნდების საერთაშორისო კონკურენტუნარიანობის ზრდა | | | | |
|---|---|---|---|---|
| ამოცანის ინდიკატორი | საბაზისო მაჩვენებელი, 2021 | შუალედური მაჩვენებელი, 2025 | სამიზნე მაჩვენებელი, 2030 | დადასტურების წყარო |
| **ამოცანა 3.2. მოთამაშეთა სელექცია, მათ მიერ საერთაშორისო სტანდარტებით განსაზღვრული ნორმატივების შესრულება** | | | | |
| ნაკრები გუნდების მოთამაშეთა მიერ საერთაშორისო სტანდარტებით განსაზღვრული ნორმატივების შესრულება | სრულდება 80% | სრულდება 90% | სრულდება 100% | |
| სისტემატურ რეჟიმში მიმდინარეობს ეროვნული და ასაკობრივი ნაკრები გუნდების თამაშების სტატისტიკური ანალიზი | თამაშის დროს დაშვებული ტექნიკური უზუსტობა:<br>ა) კაცთა ეროვნული ნაკრები: არ აღემატება 15;<br>ბ) ქალთა ეროვნული ნაკრები: არ აღემატება 18 ;<br>გ) ვაჟთა ახალგაზრდული ნაკრები: არ აღემატება 17;<br>დ) გოგონათა ახალგაზრდული ნაკრები: არ აღემატება 20; | თამაშის დროს დაშვებული ტექნიკური უზუსტობა:<br>ა) კაცთა ეროვნული ნაკრები: არ აღემატება 12;<br>ბ) ქალთა ეროვნული ნაკრები: არ აღემატება 15;<br>გ) ვაჟთა ახალგაზრდული ნაკრები: არ აღემატება 12;<br>დ) გოგონათა ახალგაზრდული ნაკრები: არ აღემატება 15; | თამაშის დროს დაშვებული ტექნიკური უზუსტობა:<br>ა) კაცთა ეროვნული ნაკრები: არ აღემატება 9;<br>ბ) ქალთა ეროვნული ნაკრები: არ აღემატება 11;<br>გ) ვაჟთა ახალგაზრდული ნაკრები: არ აღემატება 10;<br>დ) გოგონათა ახალგაზრდული ნაკრები: არ აღემატება 10; | |
| **ამოცანა 3.3. ეროვნული და ასაკობრივი ნაკრები გუნდების საწვრთნელი შტაბების დაკომპლექტება** | | | | |
| დაკომპლექტებულია ნაკრები გუნდების საწვრთნელი შტაბები. | საწვრთნელი შტაბები დაკომპლექტებულია მაღალკვალიფიციური და გამოცდილი მწვრთნელებით. | საწვრთნელი შტაბები დაკომპლექტებულია მაღალკვალიფიციური და გამოცდილი მწვრთნელებით. | საწვრთნელი შტაბები დაკომპლექტებულია მაღალკვალიფიციური და გამოცდილი მწვრთნელებით. | |
| **ამოცანა 3.4. ნაკრები გუნდების წევრთა მოტივაციის ასამაღლებლად და მხარდასაჭერად სტიპენდირების პროგრამის ამოქმედება** | | | | |
| მოქმედებს ეროვნული და ასაკობრივი ნაკრები გუნდების მოთამაშეების სტიპენდირების პროგრამა | ამოქმედდა კაცთა ეროვნული ნაკრების სტიპენდირების პროგრამა;<br>ამოქმედდა ქალთა ეროვნული ნაკრების სტიპენდირების პროგრამა;<br>ამოქმედდა ვაჟთა ეროვნული ნაკრების სტიპენდირების პროგრამა;<br>ამოქმედდა გოგონათა ახალგაზრდული ნაკრების სტიპენდირების პროგრამა | 20%-ით გაიზარდა კაცთა ეროვნული ნაკრების სტიპენდირების პროგრამა;<br>20%-ით გაიზარდა ქალთა ეროვნული ნაკრების სტიპენდირების პროგრამა;<br>20%-ით გაიზარდა ვაჟთა ეროვნული ნაკრების სტიპენდირების პროგრამა;<br>20%-ით გაიზარდა გოგონათა ახალგაზრდული ნაკრების სტიპენდირების პროგრამა | 80%-ით გაიზარდა კაცთა ეროვნული ნაკრების სტიპენდირების პროგრამა;<br>80%-ით გაიზარდა ქალთა ეროვნული ნაკრების სტიპენდირების პროგრამა;<br>80%-ით გაიზარდა ვაჟთა ეროვნული ნაკრების სტიპენდირების პროგრამა;<br>80%-ით გაიზარდა გოგონათა ახალგაზრდული ნაკრების სტიპენდირების პროგრამა | |

# მიზანი 4.

## ქვიშის ხელბურთის განვითარება

საქართველოში ქვიშის ხელბურთის დანერგვა დაიწყო 2009 წლიდან. ფედერაციამ ჩამოაყალიბა ეროვნული ჩემპიონატი, როგორც ქალთა, ისე კაცთა გუნდებს შორის. 2012 წელს ფედერაციამ უმასპინძლა დიდ საერთაშორისო შეჯიბრს ქვიშის ხელბურთში, კერძოდ ქალაქ ბათუში ჩატარდა ევროპის ახალგაზრდული ჩემპიონატი. ფედერაცია 2014 წლიდან რეგულარულად ატარებს ქვიშის ხელბურთში საქართველოს ეროვნულ ჩემპიონატს, როგორც ქალთა, ისე კაცთა გუნდებს შორის.

საქართველოში ქვიშის ხელბურთს აქვს დიდი პოტენციალი და მისი სრულფასოვანი განვითარებისათვის მნიშვნელოვანია თანმიმდევრული გეგმის შემუშავება, რესურსების ეფექტიანი განაწილება და შესაბამისი პროცესების წარმატებული მართვა. ქვიშის ხელბურთის სისტემის გაძლიერებისა და შემდგომი განვითარებისათვის საჭიროა: ა) ქვიშის ხელბურთის მარეგულირებელი სამართებლივი ბაზის IHF-ისა და EHF-ის სამართლებრივ ბაზის სტანდარტებთან შესაბამისობაში მოყვანა და განვითარების სტრატეგიული გეგმის ჩამოყალიბება. ბ) ქვიშის ხელბურთში ეროვნული და ასაკობრივი ჩემპიონატების რეგულარული ჩატარება; გ) ქვიშის ხელბურთის ეროვნული და ასაკობრივი ნაკრები გუნდების ფორმირება და ოფიციალურ საერთაშორისო შეჯიბრებებში მონაწილეობა. დ) საერთაშორისო ფესტივალებისა და შეჯიბრებების მასპინძლობა.

**ამოცანა 4.1. ქვიშის ხელბურთის განვითარებისთვის სტრატეგიული და სამართლებრივი ჩარჩოს ჩამოყალიბება**

საქართველოში ქვიშის ხელბურთის შემდგომი განვითარებისათვის მნიშვნელოვანია მარეგულირებელი სამართებლივი ბაზის IHF-ისა და EHF-ის სამართლებრივ ბაზის სტანდარტებთან შესაბამისობაში მოყვანა. ქვიშის ხელბურთის განვითარების მიზნობრივი პროგრამის შემუშვება;

**წინამდებარე ამოცანის შესრულების შემთხვევაში უზრუნველყოფილი იქნება:** ქვიშის ხელბურთის მარეგულირებელი სამართებლივი ბაზის IHF-ისა და EHF-ის სამართლებრივ ბაზის სტანდარტებთან შესაბამისობაში მოყვანა. ქვიშის ხელბურთის განვითარების მიზნობრივი პროგრამის შემუშავება და დამტკიცება;

**ამოცანა 4.2. ქვიშის ხელბურთში ეროვნული და ასაკობრივი ჩემპიონატების რეგულარული ჩატარება**

ქვიშის ხელბურთის ჩემპიონატში მონაწილეობის მსურველი გუნდების რაოდენობა ყოველწლიურად იზრდება რაც აუცილებელს ხდის ჩემპიონატის დებულების და ჩატარების მომწესრიგებელი სამართლებრივი აქტების შემუშავებას და დამტკიცებას. შესამუშავებელია ქვიშის ხელბურთის ეროვნული სპორტული კალენდარი.

**წინამდებარე ამოცანის შესრულების შემთხვევაში უზრუნველყოფილი იქნება:** ქვიშის ხელბურთის ეროვნული და ასაკობრივი ჩემპიონატების დებულებებისა და ეროვნული სპორტული კალენდარის დამტკიცება.

**ამოცანა 4.3. ეროვნული და ასაკობრივი ნაკრებების ფორმირება და საერთაშორისო შეჯიბრებებში მონაწილეობა**

მსოფლიოში ქვიშის ხელბურთის პოპულარობა ყოველწლიურად იზრდება. ამ სახეობაში ტარდება მსოფლიო და კონტინენტური პირველობები. ქვიშის ხელბურთი არის ახალგაზრდული ოლიმპიური თამაშების და ქვიშის მსოფლიო თამაშების ოფიციალური პროგრამის ნაწილი. მოსალოდნელია, რომ ახლო მომავალში ქვიშის ხელბურთი გახდება ზაფხულის ოლიმპიური თამაშების ნაწილიც.

საქართველოში ქვიშის ხელბურთში ეროვნულ საშეჯიბრო სისტემის გაძლიერება და გაფართოება წარმოქმნის შესაძლებლობას შეიქმნას ქვიშის ხელბურთის ეროვნული და ასაკობრივი ნაკრები გუნდები, რომელიც დაკომპლექტდება სათანადოდ შერჩეული და გამოცდილი მოთამაშეებით, ნაკრებებს შესაძლებლობა მიეცემათ მონაწილეობა მიიღონ ევროპისა და მსოფლიო ჩემპიონატების თამაშებში.

ფედერაციის ამოცანა იქნება ქვიშის ხელბურთის ნაკრები გუნდებისათვის სათანადო პირობების შექმნა, ნაკრები გუნდების მართვასა და წვრთნასთან დაკავშირებული საკითხების მოწესრიგება და ამ მიზნით საჭირო ფინანსური რესურსების მოძიება.

**წინამდებარე ამოცანის შესრულების შემთხვევაში უზრუნველყოფილი იქნება:** გენდერული პრინციპის დაცვით ჩამოყალიბებული - ქალთა და კაცთა ეროვნული და ორი ასაკობრივი ნაკრები გუნდი.

**ამოცანა 4.4. საერთაშორისო ფესტივალებისა და სხვა შეჯიბრებების მასპინძლობა**

ფედერაციას გააჩნია საერთაშორისო ღონისძიებების, მაღალ დონეზე, მასპინძლობის მდიდარი გამოცდილება. ქვიშის ხელბურთის საერთაშორისო ღონისძიებების მასპინძლობა მნიშვნელოვანია როგორც წმინდა სპორტული, ისე კომერციული და სპორტული ტურიზმის სახით. საერთაშორისო ღონისძიებების მასპინძლობა წარმოადგენს კარგ შესაძლებლობას ქვეყნის მასშტაბით სახეობის საერთო პოპულარობის ზრდისთვის, სპორტსმენთა სათამაშო პრაქტიკის გაუმჯობესების და მათი პოტენციალის უკეთ წარმოჩენისთვის, ასევე სპორტში კერძო დაფინანსების მოზიდვის და ქვეყნის ეკონომიკაში უცხოური ინვესტიციების ჩადებისთვის

**წინამდებარე ამოცანის შესრულების შემთხვევაში უზრუნველყოფილი იქნება:** ქვიშის ხელბურთში, მაქსიმალურად ბევრი და მრავალფეროვანი, საერთაშორისო ფესტივალებისა და სხვა შეჯიბრებების მაღალ დონეზე მასპინძლობა. საქართველოს შავი ზღვის ქვეყნების რეგიონულ ცენტრად ჩამოყალიბება ქვიშის ხელბურთის თვალსაზრისით.

| მიზანი 4. ქვიშის ხელბურთის განვითარება | | | | |
|---|---|---|---|---|
| ამოცანის ინდიკატორი | საბაზისო მაჩვენებელი, 2021 | შუალედური მაჩვენებელი, 2025 | სამიზნე მაჩვენებელი, 2030 | დადასტურების წყარო |
| **ამოცანა 4.1. ქვიშის ხელბურთის განვითარებისთვის სტრატეგიული და სამართლებრივი ჩარჩოს ჩამოყალიბება** | | | | |
| ქვიშის ხელბურთის მარეგულირებელი სამართებლივი ბაზა შესაბამისობაშია IHF-ისა და EHF-ის სამართლებრივი ბაზის სტანდარტებთან<br><br>დამტკიცებულია ქვიშის ხელბურთის განვითარების მიზნობრივი პროგრამა. | ქვიშის ხელბურთის მარეგულირებელი სამართებლივი ბაზა ნაწილობრივ შესაბამისობაშია IHF-ისა და EHF- სამართლებრივ ბაზასთან<br><br>დამტკიცებულია ქვიშის ხელბურთის განვითარების მიზნობრივი პროგრამა. | ქვიშის ხელბურთის მარეგულირებელი სამართებლივი ბაზა სრულ შესაბამისობაშია IHF-ისა და EHF- სამართლებრივ ბაზასთან<br><br>დამტკიცებულია ქვიშის ხელბურთის განვითარების მიზნობრივი პროგრამა. | ქვიშის ხელბურთის მარეგულირებელი სამართებლივი ბაზა სრულ შესაბამისობაშია IHF-ისა და EHF- სამართლებრივ ბაზასთან.<br><br>დამტკიცებულია ქვიშის ხელბურთის განვითარების მიზნობრივი პროგრამა. | |
| **ამოცანა 4.2. ქვიშის ხელბურთში ეროვნული და ასაკობრივი ჩემპიონატების რეგულარული ჩატარება** | | | | |
| დამტკიცებულია ქვიშის ხელბურთის ეროვნული და ახალგაზრდული ჩემპიონატების დებულებები.<br><br>დამტკიცებულია ქვიშის ხელბურთის ეროვნული სპორტული კალენდარი.<br><br>ეროვნულ ჩემპიონატში მონაწილე გუნდების რაოდენობა<br><br>ახალგაზრდულ ჩემპიონატში მონაწილე გუნდების რაოდენობა | დამტკიცებულია ქვიშის ხელბურთის ეროვნული და ახალგაზრდული ჩემპიონატების დებულებები.<br><br>დამტკიცებულია ქვიშის ხელბურთის ეროვნული სპორტული კალენდარი.<br><br>ეროვნულ ჩემპიონატში მონაწილე გუნდების რაოდენობა<br><br>ახალგაზრდულ ჩემპიონატში მონაწილე გუნდების რაოდენობა | დამტკიცებულია ქვიშის ხელბურთის ეროვნული და ახალგაზრდული ჩემპიონატების დებულებები.<br><br>დამტკიცებულია ქვიშის ხელბურთის ეროვნული სპორტული კალენდარი.<br><br>ეროვნულ ჩემპიონატში მონაწილე გუნდების რაოდენობა<br><br>ახალგაზრდულ ჩემპიონატში მონაწილე გუნდების რაოდენობა | დამტკიცებულია ქვიშის ხელბურთის ეროვნული და ახალგაზრდული ჩემპიონატების, თასის გათამაშების დებულებები;<br><br>დამტკიცებულია ქვიშის ხელბურთის ეროვნული სპორტული კალენდარი.<br><br>ეროვნულ ჩემპიონატში მონაწილე გუნდების რაოდენობა<br><br>ახალგაზრდულ ჩემპიონატში მონაწილე გუნდების რაოდენობა | |

| მიზანი 4. ჟვიშის ხელბურთის განვითარება | | | | |
|---|---|---|---|---|
| ამოცანის ინდიკატორი | საბაზისო მაჩვენებელი, 2021 | შუალედური მაჩვენებელი, 2025 | სამიზნე მაჩვენებელი, 2030 | დადასტურების წყარო |
| **ამოცანა 4.3. ეროვნული და ასაკობრივი ნაკრების ფორმირება და საერთაშორისო შეჯიბრებებში წარმატებული ასპარეზობა** | | | | |
| ეროვნული ნაკრები გუნდების რაოდენობა | | 2 ეროვნული ნაკრები (კაცები, ქალები) | 2 ეროვნული ნაკრები (კაცები, ქალები) | ფედერაცია, EHF |
| ასაკობრივი ნაკრების U17 რაოდენობა | 2 ასაკობრივი ნაკრები U17 (გოგონები, ვაჟები) | 2 ასაკობრივი ნაკრები U17 (გოგონები, ვაჟები) | 2 ასაკობრივი ნაკრები U17 (გოგონები, ვაჟები) | |
| წლის განმავლობაში ჩატარებული საწვრთნელი შეკრებების რაოდენობა | კალენდარული წლის განმავლობაში 2 საწვრთნელი შეკრება თითო გუნდისთვის (ჯამში 4 შეკრება) | კალენდარული წლის განმავლობაში 2 საწვრთნელი შეკრება თითო გუნდისთვის (ჯამში 8 შეკრება) | კალენდარული წლის განმავლობაში 2 საწვრთნელი შეკრება თითო გუნდისთვის (ჯამში 8 შეკრება) | |
| საქართველოს ეროვნული და ასაკობრივი ნაკრები გუნდების საერთაშორისო რეიტინგები | საქართველოს ეროვნული და ასაკობრივი ნაკრები ევროპის ქვეყნებს შორის საუკეთესო 24-შია | საქართველოს ეროვნული და ასაკობრივი ნაკრები ევროპის ქვეყნებს შორის საუკეთესო 20-შია | საქართველოს ეროვნული და ასაკობრივი ნაკრები ევროპის ქვეყნებს შორის საუკეთესო 16-შია | |
| **ამოცანა 4.4. საერთაშორისო ფესტივალებისა და სხვა შეჯიბრებების მასპინძლობა** | | | | |
| საქართველოში ყოველწლიურად ჩატარებული საერთაშორისო ტურნირების რაოდენობა | წელიწადში ერთი | წელიწადში მინიმუმ სამი | წელიწადში მინიმუმ ოთხი | ფედერაცია |

# მიზანი 5.

## ხელბურთის კლუბების განვითარების ხელშეწყობა

ქვეყანაში ხელბურთის განვითარების წინაპირობაა გამართული საკლუბო სისტემა, რომელიც უზრუნველყოფს ახალგაზრდების ჩართულობას სპორტში და მათში ჯანმრთელი ცხოვრების წესის პოპულარიზებას, მაღალი სპორტული შედეგების მიღწევას. შესაბამისად სტაბილური და მდგრადი კლუბების არსებობა სასიცოცხლოდ მნიშვნელოვანია ეროვნული შეჯიბრებების მაღალ დონეზე ჩასატარებლად, საერთაშორისო საკლუბო ტურნირებზე ღირსეულად გამოსასვლელად, ასევე ეროვნული და ასაკობრივი ნაკრები გუნდების კვალიფიცირებული მოთამაშეებით დასაკომპლექტებლად.

კლუბების გამართული საქმიანობის მისაღწევად აუცილებელია მათი ადმინისტრაციული და ფინანსური რესურსით უზრუნველყოფა, რაც დღევანდელი მდგომარეობით მიღწეული არ არის, ეს იწვევს კლუბების საქმიანობის შესუსტებას. ამ გამოწვევის დასაძლევად საჭიროა: ა) კლუბების სამართლებრივი ბაზის დახვეწა და ლიცენზირების სისტემის დანერგვა. ბ) კლუბების ადმინისტრაციული და ფინანსური სტაბილურობის მხარდაჭერა, გ) ხელბურთის გეოგრაფიის გაფართოება. დ) კლუბების პოპულარობისა და თვითრეალიზაციის შესაძლებლობების ზრდა.

**ამოცანა 5.1. კლუბების სამართებლივი ბაზის დახვეწა და ლიცენზირების სისტემის დანერგვა**

ფედერაცია კლუბების სამართებლივი ბაზის დახვეწასთან ერთად ეტაპობრივად დაიწყებს კლუბების ლიცენზირების სისტემის დანერგავს, რისი ამოქმედებაც დადებით გავლენას მოახდენს სახელბურთო კლუბების განვითარებაზე, ლიცენზირების სისტემა დაარეგულირებს კლუბების სტრუქტურული განვითარების საკითხებს, ასაკობრივი და ძირითადი გუნდის ფორმირების პროცესს, ასევე ხელს შეუწყობს კლუბში  დასაქმებულ და მოღვაწე პირების კვალიფიკაციის ამაღლებას, გაზრდის კლუბების ორგანიზაციულ შესაძლებლობებს და დადებითად აისახება ხელბურთის განვითარების ყველა ასპექტებზე.

**წინამდებარე ამოცანის შესრულების მიზნით უზრუნველყოფილი იქნება:** ა) კლუბების საქმიანობის სამართლებლივი ბაზისა და შესაბამისი სამოქმედო გეგმის დამტკიცება;  ბ) ლიცენზირების დებულებისა და პროცედურის მარეგულირებელი სხვა დამტკიცება. დოკუმენტების დამტკიცება.

**ამოცანა 5.2 კლუბების ადმინისტრაციული და ფინანსური სტაბილურობის მხარდაჭერა**

მყარი საკლუბო სტრუქტურის ჩამოყალიბების ერთ-ერთი ძირითადი საფუძველია სტაბილური დაფინანსების არსებობა, დღეის მდგომარეობით სახელბურთო კლუბების ფინანსური რესურსი მწირია, ის არ შეესაბამება განვითარების თანამედროვე მოთხოვნებს. კლუბების უმეტესობა აწყდება სხვადასხვა პრობლემებს: სავარჯიშო დარბაზების დაქირავების, გუნდის ეკიპირებითა და ინვენტარით აღჭურვის, ეროვნულ ჩემპიონატში შეუფერხებელად მონაწილეობის, სპორტსმენთა ანაზღაურების, გუნდის საწვრთნელი შეკრებებისა და საერთაშორისო შეჯიბრებებში მონაწილეობის ფინანსურ-მატერიალური უზრუნველყოფის კუთხით.

საკლუბო ხელბურთის განვითარებისთვის მნიშვნელოვანია, როგორც ეროვნული, ისე ასაკობრივი ჩემპიონატების მონაწილე გუნდების სრულფასოვანი ფუნქციონირებისათვის საჭირო დაფინანსებით უზრუნველყოფა, რათა მიღწეულ იქნას კლუბებში სპორტსმენთა რაოდენობრივი ზრდა და კონკურენტუნარიანი გარემოს შექმნა.

**წინამდებარე ამოცანის შესრულების მიზნით უზრუნველყოფილი იქნება:** ა) კლუბების საბაზისო დაფინანსების სისტემის ამოქმედება. ბ) ახალგაზრდული გუნდების მატერიალური და ფინანსური წახალისების მექანიზმის ამოქმედება;

**ამოცანა 5.3. ხელბურთის გეოგრაფიის გაფართოება**

2020 წლის მონაცემებით, სახელბურთო კლუბები ფუნქციონირებს: თბილისში - 4 კლუბი, იმერეთში - 5, კახეთში - 4, სამეგრელოში - 3, აჭარაში - 3, შიდა ქართლში - 2 და ქვემო ქართლში - 1. უმეტეს შემთხვევაში უმაღლესი ლიგის კლუბებს ჰყავთ ახალგაზრდული გუნდები, როგორც გოგონათა ისე ვაჟთა კატეგორიაში. დღეს არსებული კლუბებისა და გუნდების რაოდენობა საკმარისი არ არის, შესაბამისად, ფედერაციის უპირველეს ამოცანას წარმოადგენს გეოგრაფიული განფენილობის მაქსიმალური ზრდა, რათა სახელბურთო კლუბების რაოდენობა გაიზარდოს იმ რეგიონებში სადაც არიან, ხოლო იქ სადაც არ არიან მოხდეს ახალი სახელბურთო კლუბების დაფუძნება.

საქართველოს მთელ ტერიტორიაზე ხელბურთის განვითარება მოითხოვს მნიშვნელოვან ფინანსურ და ადამიანურ რესურსს. შესაბამისად, აღნიშნული მიზნის განსახორციელებლად აუცილებელია ფედერაციის, სპორტზე პასუხისმგებელი სამინისტროსა და ადგილობრივი თვითმმართველი მუნიციპალიტეტის კოორდინირებული თანამშრომლობა.

**წინამდებარე ამოცანის შესრულების მიზნით უზრუნველყოფილი იქნება:** ა) რეგიონებში ხელბურთის განვითარების ხელშეწყობის მიზნობრივი პროგრამის მომზადება; ბ) ადგილობრივი ბიუჯეტებიდან ახალდაფუძნებული კლუბების ფინანსური დახმარება; გ) კლუბების ადეკვატური სავარჯიშო დროით უზრუნველყოფა სპორტულ დარბაზებში. დ) სრული ეკიპირებით, ინვენტარითა და მეთოდური სახელმძღვანელოებით უზრუნველყოფილი კლუბები.

**ამოცანა 5.4. კლუბების პოპულარობისა და თვითრეალიზაციის შესაძლებლობების ზრდა**

კლუბების პოპულარობის გაზრდისათვის მნიშვნელოვანია ჩემპიონატში მონაწილე გუნდები თამაშებს ატარებდნენ საკუთარი ქალაქების სპორტდარბაზებში, რაც ხელს შეუწყობს თამაშებზე მაყურებლის მოზიდვას და ხელბურთით მათი დაინტერესებას, ამ მომენტში დიდი როლი ეკისრებათ გუნდების ფან-კლუბებს, რომლებმაც უნდა შეძლონ გააერთიანონ თავიანთ რიგებში ადგილობრივი მაცხოვრებლები, მშობლები და სკოლების მოსწავლეები.

ფან-კლუბების როლი იკვეთება არამხოლოდ გარკვეული გუნდის გამხნევებისა და დარბაზში სახელბურთო ატმოსფეროს შექმნის თვალსაზრითი, არამედ კონკრეტულ ქალაქში ხელბურთის პოპულარიზებისა და სახელბურთო წრის ზრდის კუთხითაც, რაც გამოიხატება „თამაშის დღის“ კულტუის დანერგვაში, სპოტით დაინტერესებულ პირთა შორის ხელბურთის თემატიკაზე კომუნიკაციის ზრდასა და ხელბურთის საკითხის ქალაქის დღის წესრიგში ერთ-ერთი მოწინავე საკითხად დაყენებაში.

საერთო ჯამში, ფან-კლუბების ჩამოყალიბების შედეგი იქნება ის რომ კიდევ უფრო მეტი ხალხი დაინტერდება როგორც ხელბურთით, ისე ზოგადად სპორტით და ჯანსაღი ცხოვრების წესითაც.

**წინამდებარე ამოცანის შესრულების მიზნით უზრუნველყოფილი იქნება:** შექმნილია ეროვნული ჩემპიონატების (როგორც ქალთა ისე კაცთა) მონაწილე გუნდების ფან-კლუბები.

| მიზანი 5. ხელბურთის კლუბების განვითარების ხელშეწყობა | | | | |
|---|---|---|---|---|
| ამოცანის ინდიკატორი | საბაზისო მაჩვენებელი, 2021 | შუალედური მაჩვენებელი, 2025 | სამიზნე მაჩვენებელი, 2030 | დადასტურების წყარო |
| **ამოცანა 5.1. კლუბების სამართლებრივი ბაზის დახვეწა და ლიცენზირების სისტემის დანერგვა** | | | | |
| კლუბის სტრუქტურა და იურიდიული სტატუსი | დამტკიცებულია კლუბის სტრუქტურა და სამოქმედო გეგმა, ფედერაციის დებულებებთან შესაბამისობაშია მოყვანილი კლუბის შიდა სამართებლივი აქტები. | დამტკიცებულია კლუბის სტრუქტურა და სამოქმედო გეგმა, ფედერაციის დებულებებთან შესაბამისობაშია მოყვანილი კლუბის შიდა სამართებლივი აქტები. | დამტკიცებულია კლუბის სტრუქტურა და სამოქმედო გეგმა, ფედერაციის დებულებებთან შესაბამისობაშია მოყვანილი კლუბის შიდა სამართებლივი აქტები. | ეროვნული ფედერაცია |
| ლიცენზირებული კლუბების რაოდენობა | ეროვნულ ჩემპიონატში მონაწილე ყველა კლუბი | ეროვნულ, პირველი ლიგისა და ახალგაზრდულ ჩემპიონატებში მონაწილე ყველა კლუბი | ეროვნულ, პირველი ლიგისა და ახალგაზრდულ ჩემპიონატებში მონაწილე ყველა კლუბი | |
| **ამოცანა 5.2 კლუბების ადმინისტრაციული და ფინანსური სტაბილურობის მხარდაჭერა** | | | | |
| მოქმედებს კლუბების საბაზისო დაფინანსების სისტემა. | დამტკიცებულია საქართველოს ეროვნულ ჩემპიონატებში მონაწილე კლუბების საბაზისო დაფინანსების ჯამური ოდენობა | საქართველოს ეროვნულ ჩემპიონატებში მონაწილე კლუბების საბაზისო დაფინანსების ჯამური ოდენობა გაზრდილია 50% | საქართველოს ეროვნულ ჩემპიონატებში მონაწილე კლუბების საბაზისო დაფინანსების ჯამური ოდენობა გაზრდილია 70% | ეროვნული ფედერაცია |
| **ამოცანა 5.3. ხელბურთის გეოგრაფიის გაფართოება** | | | | |
| ეროვნულ და ასაკობრივ ჩემპიონატებში რეგისტრირებული სპორტსმენების რაოდენობა | მინიმუმ 1050 სპორტსმენი (კაცები - 56%, ქალები - 44%) | მინიმუმ 3000 სპორტსმენი (კაცები - 50%, ქალები - 50%) | მინიმუმ 6000 სპორტსმენი (კაცები - 50%, ქალები - 50%); | ეროვნული ფედერაცია |
| საქართველოს რეგიონების რაოდენობა, სადაც რეგისტრირებულია მინიმუმ 4 კლუბი და ისინი მონაწილეობენ ფედერაციის ჩემპიონატებში | მინიმუმ 4 (თბილისი, იმერეთი, კახეთი, აჭარა) | მინიმუმ 7 (თბილისი, იმერეთი, კახეთი, აჭარა, სამეგრელო, შიდა ქართლი, მცხეთა-თიანეთი) | მინიმუმ 10 (თბილისი, იმერეთი, კახეთი, სამეგრელო, აჭარა, შიდა ქართლი, ქვემო-ქართლი, გურია, სამცხე-ჯავახეთი, მცხეთა-მთიანეთი) | |
| **ამოცანა 5.4. კლუბების პოპულარობისა და თვითრეალიზაციის შესაძლებლობების ზრდა** | | | | |
| სახელბურთო გუნდების ფან-კლუბების რაოდენობა | კლუბების 25 % ყავს გულშემატკივართა კლუბები | კლუბების 65 % ყავს გულშემატკივართა კლუბები | კლუბების 90 % ყავს გულშემატკივართა კლუბები | ეროვნული ფედერაცია |

# მიზანი 6.

## სპორტსმენის პროფესიული და კარიერული განვითარების ერთიანი სისტემის ჩამოყალიბება და ამოქმედება

საქართველოში ხელბურთში ჩართული მოზარდები, საერთო მომზადების დონით, ჩამორჩებიან თავის თანატოლებს სხვა განვითარებულ ქვეყნებიდან. ეს პრობლემები გამოწვეულია სხვადასხვა მიზეზებით, მათ შორის - ბავშვები გვიან ასაკში შედიან ხელბურთზე და შესაბამისად გვიან იწყებენ საბაზისო უნარების განვითარებას, ასევე დაბალია მიწოდებული სამწვრთნელი მომსახურების ხარისხი, მცირეა მუნიციპალიტეტების დარბაზებში კლუბებისა და გუნდებისათვის გამოყოფილი სავარჯიშო დრო, ხელისშემშლელია არასტანდარტული სავარჯიშო ინფრასტრუქტურა და არასაკმარისი სპორტული ინვენტარი.

2019 წლის მდგომარეობით, საქართველოში არ მოქმედებდა ბავშვთა და სპორტსმენთა მომზადების ერთიანი მოდელი, რომელიც განსაზღვრავდა სხვადასხვა ასაკობრივი ჯგუფების განვითარების ეტაპებისათვის მინიმალურ კომპეტენციებს, უნარებსა და ფიზიკური მომზადების პარამეტრებს. როგორც წესი, მწვრთნელები დამოუკიდებლად განსაზღვრავენ სპორტსმენთა მომზადების სქემას, რაც რიგ შემთხვევებში შესაბამისობაში არ არის ერთმანეთთან. ფედერაციას მიზანშეწონილად მიაჩნია სპორტსმენის განვითარების ერთიანი მოდელის ჩამოყალიბება, რის მიხედვითაც, განსაზღვრული იქნება სპორტსმენთა განვითარების მთელი ციკლი ადრეული ასაკიდან პროფესიული კარიერისა და პოსტ-კარიერული ეტაპის ჩათვლით.

**ამოცანა 6.1. სპორტსმენთა აღრიცხვიანობის ერთიანი საინფორმაციო ბაზის ჩამოყალიბება**

ხელბურთში ჩართულ სპორტსმენთა საჭიროებაზე და მათი შესაძლებლობების განვითარებაზე ზრუნვა წარმოადგენს ფედერაციის ერთ-ერთ მთავარ პრიორიტეტს. სპორტსმენის წარმატებული პროფესიული და კარიერული ზრდა დამოკიდებულია სწორედ დაგეგმილ და განხორციელებულ განვითარების მოდელზე.

ამ მიზნით, ფედერაციაში უნდა არსებობდეს სისტემური, ყოველწლიურად განახლებადი სპორტსმენთა მონაცემების საინფორმაციო ბაზა, რომელშიც ასახული იქნება: კლუბებში, სპორტსკოლებსა და გუნდებში გაერთიანებული სპორტსმენებისა და მოზარდების რაოდენობა, მათი ასაკი, ფიზიოლოგიური მონაცემები (სიმაღლე, წონა), ასევე ზრდის ეტაპებზე ფიზიკური და ტექნიკური განვითარების პარამეტრები, საკლუბო და სანაკრებო კარიერული მდგომარეობები და სხვა. სრულფასოვანი სტატისტიკური ინფორმაციის ხელმისაწვდომობა წარმოადგენს მნიშვნელოვან ელემენტს სპორტსმენთა პროფესიული და კარიერული განვითარებისათვის.

**წინამდებარე ამოცანის შესრულების შემთხვევაში უზრუნველყოფილი იქნება:** ყოველწლიურად განახლებადი სპორტსმენთა მონაცემების საინფორმაციო ბაზა.

# მიზანი 6.

## სპორტსმენის პროფესიული და კარიერული განვითარების ერთიანი სისტემის ჩამოყალიბება და ამოქმედება

**ამოცანა 6.2. სპორტსმენთა პროფესიული და კარიერული განვითარების ერთიანი მოდელის ჩამოყალიბება**

ხელბურთელთა პროფესიულ და კარიერულ განვითარების მიზნით მნიშვნელოვანია შეიქმნას ბავშვთა და სპორტსმენთა მომზადების ერთიანი მოდელი, რომელიც იქნება სამოქმედო დოკუმენტი ნაკრები გუნდებისა და კლუბების მწვრთნელთათვის, რომლის მეშვეობითაც განისაზღვრება თითოეული ასაკობრივი ჯგუფების სპორტსმენების განვითარების სხვადასხვა ეტაპებზე მინიმალური კომპეტენციები, უნარები და ფიზიკური მომზადების პარამეტრები.

**წინამდებარე ამოცანის შესრულების შემთხვევაში უზრუნველყოფილი იქნება:** ხელბურთელის პროფესიული და კარიერული განვითარების ერთიანი მოდელის დამტკიცება.

**ამოცანა 6.3. ხელბურთის აკადემია, ახალგაზრდა სპორტსმენთა აღზრდისა და პროფესიონალური მზადების რეგიონალური ცენტრი.**

ხელბურთის აკადემია ფედერაციის საქმიანობის კიდევ ერთი მიმართულებაა ახალგაზრდა პერსპექტიული სპორტსმენების მზადების კუთხით, რაც გულისხმობს აკადემიის ბაზაზე, პერსპექტიული ახალგაზრდა სპორტსმენების მაღალი დონის სასწავლო საწვრთნელ პროცესში ჩართვას, ასევე აკადემიის ბაზაზე მათ უზრუნველყოფას საცხოვრებლითა და კვებით, რეგიონებიდან ჩამოსული ახალგაზრდების საჯარო სკოლებში სწავლებაში ხელშეწყობას.

ევროპისა და საერთაშორისო ხელბურთის ფედერაციებთან თანამშრომლობის მდიდარი გამოცდილება, ფედერაციას აძლევს საშუელებას ხელბურთის აკადემიის ბაზაზე შექმნას რეგიონალურ საგანმანათლებლო ცენტრი, სადაც უცხოელი და ქართველი სპეციალისტების თანამშრომლობის გზით შეიქმნება საგანმანათლებლო კურიკულუმი, ასევე დაინერგება და განხორციელდება სხვადასხვა გაცვლითი პროგრამები. ეს ყოველივე უზრუნველყოფს ახალგაზრდების პროფესიონალ სპორტსმენებად ჩამოყალიბებას და მათი წარმატებული სპორტული კარიერის შექმნას.

აკადემიაში სწავლება ხელმისაწვდომი იქნება, როგორც ადგილობრივი, ასევე უცხოელი დაინტერესებული პირებისათვის.

**წინამდებარე ამოცანის შესრულების შემთხვევაში უზრუნველყოფილი იქნება:** ა) ხელბურთის აკადემიის განვითარების პროგრამის შემუშავება და დამტკიცება. ბ) აკადემიის სასწავლო პროგრამებში პერსპექტიული მოთამაშეების ჩართულობა.

# სპორტსმენის პროფესიული და კარიერული განვითარების ერთიანი სისტემის ჩამოყალიბება და ამოქმედება

**ამოცანა 6.4. სპორტსმენთა ორმაგი კარიერის განვითარების მხარდაჭერა**

აქტიური სპორტული კარიერა საუკეთესო შემთხვევაში 30-35 წლამდე გრძელდება. თუმცა ხშირია სპორტსმენთა ტრამვები, რაც სამწუხაროდ კიდევ უფრო ხანმოკლეს ხდის ამ პერიოდს. სპორტული კარიერის განმავლობაში, ხელბურთელი წარმატების მიღწევისათვის, მთელ თავის ძალისხმევას ახმარს  სპორტული ფორმის შენარჩუნებასა და განვითარებას, მძიმე ფიზიკური, მენტალური და ფსიქოლოგიური დატვირთვები, სპორსტმენს უზღუდავს დამატებითი პროფესიის და კვალიფიკაციის მიღების შესაძლებლობებს. აღნიშნული და დაბალი ფინანსური შემოსავალი ბევრ შემთხვევაში იწვევს ადრეულ ეტაპზე სპორტსმენთა აქტიური საქმიანობიდან გადინებას. ამ გამოწვევის დასაძლევად ფედერაციამ უნდა შეიმუშავოს და განახორციელოს სპორტსმენთა ორმაგი კარიერის განვითარების პროგრამა.

სპორტსმენთა ორმაგი კარიერის განვითარების პროგრამის შემუშავება და ამოქმედება გულისხმობს მოქმედ ხელბურთელებს მიეცეთ შესაძლებლობა, სპორტული კარიერის პარალელურად დაეუფლონ სხვადასხვა უნარ-ჩვევებს მეორე პროფესიაში. ხელბურთში არსებული კვალიფიციური კადრების დეფიციტის გათვალისწინებით, ფედერაციის პრიორიტეტს წარმოადგენს სპორტსმენთა გადამზადება შემდეგი მიმართულებებით: სპორტული ორგანიზაციის მართვა, სპორტული მარკეტინგი, ფიზიოთერაპევტი (სპორტის მიმართულებით), მწვრთნელი, მსაჯი, ფიზიკური აღზრდისა და სპორტის პედაგოგი და სხვა.

ხსენებული პროგრამა ასევე ითვალისწინებს მოქმედი სპორტსმენებისთვის, კარიერასთან შეთავსებული, პარალელური სამსახურის შეთავაზებას. ფედერაცია წაახალისებს და ხელს შეუწყობს მოქმედ სპორტსმენების დასაქმებას სპორტულ მენეჯერებად, მწვრთნელებად, მსაჯებად და საშეჯიბრო სტაფის წევრებად, ფიზიკური აღზრდისა და სპორტის პედაგოგებად.

ფედერაცია უზრუნველყოფს ისეთი ინიციატივების განხორციელებას, რომელიც ხელს შეუწყობს სპორტსმენთა მოტივაციის ამაღლებას. ეს გულისხმობს სხვადასხვა პროგრამების და პროექტების განხორციელებას, მაგალითად: სასწავლო დაწესებულებებში რეკომენდაციებს სპეციალობის შეძენის, კვალიფიკაციის ამაღლებისა ან სწავლების საფასურზე შეღავათის მიღების თაობაზე, განსაკუთრებით ნიჭიერი ახალგაზრდა სპორტსმენების სტაჟირებებზე მივლინებას საზღვარგარეთის კლუბებში და სხვა.

**წინამდებარე ამოცანის შესრულების შემთხვევაში უზრუნველყოფილი იქნება:** სპორტსმენთა ორმაგი კარიერის განვითარების პროგრამის დამტკიცება და განხორციელება.

**ამოცანა 6.5. ვეტერანი ხელბურთელები**

ხელბურთის შემდგომი განვითარების, მისი პოპულარობის გაზრდის საქმეში უამრავ ადამიანს აქვს მიღებული მონაწილეობა და მათი ღვაწლის დაფასება არის ერთ-ერთი მნიშვნელოვანი საკითხი. ფედერაციამ უნდა იზრუნოს ვეტერანი სპორტსმენების  სოციალური დაცვის საკითხებზე, მათ ჩართვაზე სხვადასხვა სოციალური დახმარების პროგრამებში.

**წინამდებარე ამოცანის შესრულების შემთხვევაში უზრუნველყოფილი იქნება:** ა) ვეტერან ხელბურთელთა კავშირის დაფუძნება და ფუნქციონირება. ბ) სოციალურად დაუცველი ვეტერანების სოციალური დახმარების პროგრამებში.

| მიზანი 6. სპორტმენის პროფესიული და კარიერული განვითარების ერთიანი სისტემის ჩამოყალიბება და ამოქმედება | | | | |
|---|---|---|---|---|
| ამოცანის ინდიკატორი | საბაზისო მაჩვენებელი, 2021 | შუალედური მაჩვენებელი, 2025 | სამიზნე მაჩვენებელი, 2030 | დადასტურების წყარო |
| **ამონაცანა 6.1. სპორტსმენთა აღრიცხვიანობის ერთიანი საინფორმაციო ბაზის ჩამოყალიბება** | | | | |
| შემუშავებულია და დამტკიცებულია სპორტსმენთა მონაცემების საინფორმაციო ბაზა.<br><br>აღრიცხული პროფესიონალი და მოყვარული სპორტსმენების მონაცემების განახლების სიხშირე და ცდომილების ალბათობა. | დამტკიცებულია სპორტსმენთა მონაცემების საინფორმაციო ბაზა.<br><br>აღრიცხულია ეროვნული ჩემპიონატებში მონაწილე კლუბების სპორტსმენთა მონაცემების საინფორმაციო ბაზა. | სისტემატიურად ივსება სპორტსმენთა ახალი მონაცემებით საინფორმაციო ბაზა.<br><br>ყოველწლიურად აღრიცხული და განახლებულია ინფომრაცია ეროვნულ და ასაკობრივ ჩემპიონატებში მონაწილე კლუბების წევრთა რაოდენობის შესახებ, ცდომილება 5% | სისტემატიურად ივსება სპორტსმენთა ახალი მონაცემები საინფორმაციო ბაზა.<br><br>ყოველწლიურად აღრიცხული და განახლებულია ინფომრაცია ეროვნულ და ასაკობრივ ჩემპიონატებში მონაწილე კლუბების წევრთა რაოდენობის შესახებ, ცდომილება 1% | ფედერაცია<br><br>ფედერაცია |
| **ამოცანა 6.2. სპორტსმენთა პროფესიული და კარიერული განვითარების ერთიანი მოდელის ჩამოყალიბება** | | | | |
| ხელბურთელის პროფესიული და კარიერული განვითარების ერთიანი მოდელი<br><br>ეროვნულ დონეზე მოქმედი კლუბების % მაჩვენებელი, რომლებსაც პრაქტიკაში დანერგილი აქვთ ერთიანი სისტემის მიდგომები | დამტკიცებულია ხელბურთელის პროფესიული და კარიერული განვითარების ერთიანი მოდელი<br><br>50% | ყოველწლიურად ხდება ხელბურთელის პროფესიული და კარიერული განვითარების ერთიანი მოდელის განახლება<br><br>85% | ყოველწლიურად ხდება ხელბურთელის პროფესიული და კარიერული განვითარების ერთიანი მოდელის განახლება<br><br>98% | ფედერაცია<br><br>ფედერაცია |

# მიზანი 6. სპორტმენის პროფესიული და კარიერული განვითარების ერთიანი სისტემის ჩამოყალიბება და ამოქმედება

| ამოცანის ინდიკატორი | საბაზისო მაჩვენებელი, 2021 | შუალედური მაჩვენებელი, 2025 | სამიზნე მაჩვენებელი, 2030 | დადასტურების წყარო |
|---|---|---|---|---|
| **ამოცანა 6.3. ხელბურთის აკადემია, ახალგაზრდა სპორტსმენთა აღზრდისა და პროფესიონალური მზადების რეგიონალური ცენტრი.** | | | | |
| დამტკიცებულია ხელბურთის აკადემიის განვითარების პროგრამა.<br><br>აკადემიის პროგრამაში ჩართული ბენეფიციარების ზრდის % მაჩვენებელი | დამტკიცებულია ხელბურთის აკადემიის განვითარების 4 წლიანი პროგრამა.<br><br>30% | დამტკიცებულია ხელბურთის აკადემიის განვითარების გრძელვადიანი პროგრამა.<br><br>60% | ხორციელდება აკადემიის განვითარების პროგრამით გათვალისწინებული ამოცანები.<br><br>80% | ფედერაცია<br><br>ფედერაცია |
| **ამოცანა 6.4. სპორტსმენთა ორმაგი კარიერის განვითარების მხარდაჭერა** | | | | |
| ეროვნულ ჩემპიონატში ჩართულ სპორტსმენთა % მაჩვენებელი, რომლებსაც აქვთ პროფესიული ან უმაღლესი განათლება, ან ირიცხებიან საგანმანათლებლო დაწესებულებაში, გააჩნიათ შრომითი ანაზღაურების მინიმუმ 2 წყარო | 20% | 45% | 65% | ფედერაცია |
| **ამოცანა 6.5. ვეტერანი ხელბურთელები** | | | | |
| ვეტერანი ხელბურთელების % მაჩვენებელი რომლებსაც აქვთ პროფესიული განათლება, გააჩნიათ შრომითი ანაზღაურება, ან არიან ჩართულები სპორტსმენთა და მწვრთნელთა სოციალური დახმარების პროგრამებში | 50% | 70% | 85% | ფედერაცია |

# მიზანი 7.

## მწვრთნელთა განათლების თანამედროვე პროგრამებისა და ლიცენზირების სისტემის დანერგვა და განხორციელება

უკანასკნელი წლების განმავლობაში მკვეთრად მოიმატა ხელბურთში მოვარჯიშეთა რიცხვმა, შესაბამისად გაზრდილია მოთხოვნა მწვრთნელთა სპეციალობაზე. ხელბურთის თამაშის განვითარება თანამედროვე მეთოდოლოგიით ითხოვს მაღალი კლასის მოთამაშეების აღრზდას, რაც თავისი მხრივ ითხოვს მაღალი კვალიფიკაციის მწვრთნელთა მზადების პროგრამის შექმნას და განხორციელებას.

ეროვნული ფედერაცია ევროპისა და მსოფლიო ხელბურთის ფედერაციებთან, სპორტის უნივერსიტეტთან თანამშრომლობით ბევრს აკეთებს მწვრთნელთა განათლების ხელშესაწყობად, სისტემატიურად ტარდება სემინარი, სადაც ლექტორებად მოწვეულები არიან წამყვანი უცხოელი და ადგილობრივი სპეციალისტები, თუმცა ამ კუთხით მუშაობა მოითხოვს მეტ ძალისხმევას, მნიშვნელოვანია მწვრთნელთა თანამედროვე განათლებისა და ლიცენზირების სისტემების შექმნა და ევროპის ხელბურთის ფედერაციის რინკის კონვენციასთან მიერთება. მწვრთნელებს ვისაც აქვთ რინკის კონვენციის განსაზღვრული კატეგორია ენიჭებათ უფლება იმუშაონ კონვენციის წევრ ნებისმიერ ქვეყანაში სპეციალობით.

ასევე აღსანიშნავია, რომ კლუბების დაფინანსების სიმცირისა და დაბალი ფინანსური ანაზღაურების გამო ხელბურთის მწვრთნელის პროფესიის დაუფლების მსურველ პირთა რაოდენობა არ არის დიდი.

მწვრთნელთა მოზიდვის და მათი კვალიფიკაციის ამაღლების მიზნით, ფედერაცია უზრუნველყოფს: ა) მწვრთნელთა თანამედროვე განათლების პროგრამის შექმნას, ბ) მწვრთნელთა ლიცენზირების სისტემის შექმნას და მიერთებას ევროპის ხელბურთის ფედერაციის „რინკის კონვენციასთან“, გ) შექმნას მწვრთნელთა ფინანსური და მატერიალური წახალისების სისტემის შექმნას;

### 7.1. მწვრთნელთა თანამედროვე განათლების პროგრამა

ეროვნული ფედერაცია საქართველოს სპორტის უნივერსიტეტთან, საერთაშორისო და ევროპის ხელბურთის ფედერაციებთან თანამშრომლობით მუდმივად ახორციელებს მწვრთნელთა თანამედროვე განათლების პროგრამის დახვეწას. რომლის მიხედვითაც ხორციელდება დამწყებ მწვრთნელთა მომზადება და მოქმედ პრაქტიკოს მწვრთნელთა გადამზადება. პროგრამირ ფარგლებში ყურადღება ეთმობა, როგორც თეორიულ, ისე პრაქტიკულ კომპონენტებს, ასევე პროგრამა დიფერენცირებულია მწვრთნელთა კატეგორიაზაციის მიხედვით (მთავარი და დამხმარე, ფიზიკური მომზადებისა და მეკარეთა მწვრთნელი).

**წინამდებარე ამოცანის შესრულების შემთხვევაში უზრუნველყოფილი იქნება:** საერთაშორისო სტანდარტებთან შესაბამისი მწვრთნელთა გადამზადებისა და განათლების პროგრამის შექმნა და განხორციელება.

# მწვრთნელთა განათლების თანამედროვე პროგრამებისა და ლიცენზირების სისტემის დანერგვა და განხორციელება

### 7.2 მწვრთნელთა ლიცენზირების სისტემის დახვეწა და ფედერაციის მიერთება EHF-ის „რინკის კონვენციასთან“

2018 წლიდან ფედერაციამ დაიწყო მწვრთნელთა ლიცენზირების სისტემის დანეგრვა, რაც ითვალისწინებს მწვრთნელთა აღრიცხვიანობის სისტემის შექმნას, შესაბამისი საგანმანთლებლო მოდულების დანერგვას და მწვრთნელთა კატეგორიზაციას, მათი მომზადების დონის შესაბამისად. ამ სისტემის გამართული ფუნქციონირება ემსახურება საქართველოს მიერთებას EHF-ის მიერ შემუშავებულ „რინკის კონვენციასთან“. კონვენციასთან მიერთება უზრუნველყოფს საქართველოში მწვრთნელთა განათლების სისტემის შესაბამისობას ევროპის მასშტაბით არსებულ მიდგომებსა და მოთხოვნებთან.

**წინამდებარე ამოცანის შესრულების შემთხვევაში უზრუნველყოფილი იქნება:** ა) მწვრთნელთა აღრიცხვიანობისა და ლიცენზირების სისტემების გამართული ფუნქციონირება. ბ) ლიცენზირებული მწვრთნელების რაოდენობრივი ზრდა. გ) EHF-ის „რინკის კონვენციასთან“ მიერთება.

### 7.3 მწვრთნელთა ფინანსური და მატერიალური წახალისების სისტემა

მწვრთნელთა მოტივაციის დეფიციტის ერთ-ერთი მთავარი მიზეზი მათი დაბალი ანაზღაურებაა. მწვრთნელთა ანაზღაურებას უზრუნველყოფენ ადგილობრივი მუნიციპალიტეტები თუმცა ანაზღაურების ოდენობა ძალიან მცირეა, რაც მწვრთნელთა ინსტიტუტის განვითარების გზაზე, მნიშვნელოვანი გამოწვევაა. ამის გათვალისწინებით ფედერაცია უზრუნველყოფს კლუბებში დასაქმებულ მწვრთნელთა წახალისების სხვადასხვა პროგრამებში ჩართვას, ასევე სხვადასხვა წამახალისებელი ნომინაციების შექმნას.

**წინამდებარე ამოცანის შესრულების შემთხვევაში უზრუნველყოფილი იქნება:** მწვრთნელთა ფინანსური და მატერიალური წახალისების სისტემის დანერგვა და განხორციელება.

| მიზანი 7. მწვრთნელთა კორპუსის გაძლიერება და კვალიფიკაციის ამაღლება | | | | |
|---|---|---|---|---|
| ამოცანის ინდიკატორი | საბაზისო მაჩვენებელი, 2021 | შუალედური მაჩვენებელი, 2025 | სამიზნე მაჩვენებელი, 2030 | დადასტურების წყარო |
| **7.1. მწვრთნელთა თანამედროვე განათლების პროგრამა** | | | | |
| ნაკრები გუნდების, ეროვნულ და ასაკობრივ ჩემპიონატებში მონაწილე გუნდების მწვრთნელთა % მაჩვენებელი, რომლებმაც გაიარეს გადამზადება თანამედროვე განათლების პროგრამებით | 50% | 80% | 95% | ფედერაცია |
| **7.2 მწვრთნელთა ლიცენზირების სისტემის დახვეწა და ფედერაციის მიერთება EHF-ის „რინკის კონვენციასთან“** | | | | |
| მწვრთნელთა ლიცენზირების სისტემის დანერგვა, ფედერაციის მიერთებას EHFის „რინკის კონვენციასთან“<br><br>ლიცენზირებულ მწვრთნელთა საერთო რაოდენობის ზრდის % მაჩვენებელი | დანერგილია მწვრთნელთა ლიცენზირების სისტემა<br><br>25 | დანერგილია მწვრთნელთა ლიცენზირების სისტემა. ფედერაცია მიერთებულია ehf-ის „რინკის კონვენციასთან“<br><br>50% | 90% | ფედერაცია |
| **7.3 მწვრთნელთა ფინანსური და მატერიალური წახალისების სისტემა** | | | | |
| მწვრთნელთა ფინანსური წახალისების სისტემის დახვეწა და ამოქმედება<br><br>წამახალისებელი ნომინაციების დანერგვა<br><br>მწვრთნელთა ფინანსური წახალისების სისტემაში ჩართული მწვრთნელების % ზრდის მაჩვენებელი | დამტკიცებულია მწვრთნელთა ფინანსური წახალისების სისტემის პროგრამა<br><br>დანერგილია მწვრთნელთა წახალისების ნომინაციები<br><br>15% | ამოქმედებულია მწვრთნელთა ფინანსური წახალისების სისტემის პროგრამა<br><br>დანერგილია მწვრთნელთა წახალისების ნომინაციები<br><br>40% | ამოქმედებულია მწვრთნელთა ფინანსური წახალისების სისტემის პროგრამა<br><br>დანერგილია მწვრთნელთა წახალისების ნომინაციები<br><br>65% | ფედერაცია |

# მიზანი 8.

## მსაჯთა რაოდენობის ზრდა და მათი მზადება საერთაშორისო სტანდარტების შესაბამისად

ეროვნული და ახალგაზრდული ჩემპიონატების თამაშების რაოდენობის ზრდის პარალელურად იზრდება მოთხოვნა კვალიფიცირებულ მსაჯებსა და მატჩის მომსახურე პერსონალზე. საჭიროა კომპლექსურ მიდგომა და თანმიმდევრული ნაბიჯების განხორციელება მსაჯთა კორპუსის გასაძლიერებად, ამ პროცესში არსებული გამოწვევების (მაგ.: პროფესიაზე დაბალი მოთხოვნა და საზოგადოებაში არსებული სტერეოტიპები, მზადების სისტემის გაუმართაობა, კომპლექსური მიდგომის საჭიროება და სხვ) გათვალისწინებით, ფედერაციამ ამ კუთხით მუშაობა უნდა გახადოს თავისი საქმიანობის ერთ-ერთ პრიორიტეტად. მსაჯთა მოზიდვის და მათი კვალიფიკაციის ამაღლების მიზნით, ფედერაცია უზრუნველყოფს: ა) მსაჯთა და დელეგატთა კომისიის გაძლიერებას და ამ კუთხით კომპლექსური პოლიტიკის განხორციელებას. ბ) მსაჯთა და დელეგატთა მომზადებისა და გადამზადების ეროვნული სისტემის ჩამოყალიბებას. გ) მსაჯთა ლიცენზირების ეროვნული სისტემის შექმნას. დ) მსაჯთა წახალისებასა და მოტივაციის ამაღლებას

**ამოცანა 8.1. მსაჯთა და დელეგატთა კომისიის გაძლიერება, კომპლექსური პოლიტიკის განხორციელება.**

აღნიშნული ითვალისწინებს მსაჯთა კორპუსის განვითარების კონკრეტული სამოქმედო გეგმის მომზადებას და განხორცილებას, ასევე აქტიურ  თანამშრომლობას საერთაშორისო და სხვა პარტნიორ ორგანიზაციებთან. ფედერაცია უზრუნველყოფს კომისიის გამართული მუშაობისთვის საჭირო ადამიანური  და ტექნიკური რესურსის გამოყოფაზე.

**წინამდებარე ამოცანის შესრულების შემთხვევაში უზრუნველყოფილი იქნება:** მსაჯთა და დელეგატთა კორპუსის განვითარების კონკრეტული სამოქმედო გეგმის მომზადება და განხორციელება.

**ამოცანა 8.2. მსაჯთა და დელეგატთა მომზადების და გადამზადების ეროვნული სისტემის ჩამოყალიბება.**

მსაჯთა და დელეგატთა მომზადების და გადამზადების მუდმივმოქმედი პლატფორმის არსებობა წარმოადგენს საკვანძო ელემენტს წინამდებარე მიზნის მიღწევის პროცესში. ფედერაცია უზრუნველყოფს მსაჯობის სურვილის მქონე და მოქმედი არბიტრებისთვის მაღალხარისხიანი საგანმანთლებლო პროგრამების მიწოდებას.

**წინამდებარე ამოცანის შესრულების შემთხვევაში უზრუნველყოფილი იქნება:** მსაჯთა და დელეგატთა მომზადების და გადამზადების ეროვნული სისტემის ჩამოყალიბება.

# მიზანი 8.

## მსაჯთა რაოდენობის ზრდა და მათი მზადება საერთაშორისო სტანდარტების შესაბამისად

**ამოცანა 8.3. მსაჯთა ლიცენზირების ეროვნული სისტემის დანერგვა და მაღალკვალიფიციური მსაჯების რაოდენობის ზრდა.**

ლიცენზირების გამართული და ძლიერი სისტემა არის ერთ-ერთი მთავარი წინაპირობა ეროვნულ დონეზე მსაჯობის მაღალი ხარისხისთვის. ფედერაცია უზრუნველყოფს მკაფიო ეროვნული სტანდარტების არსებობას, მათი შესრულების ზედამხედველობას, ასევე ადგილობრივი მსაჯების მხარდაჭერას დაეუფლონ ევროპის და საერთაშორისო კატეგორიის არბიტრის სტატუსს ასევე, ის მნიშვნელოვან როლს ასრულებს ადგილობრივი კადრებისთვის ევროპის და საერთაშორისო კატეგორიის მსაჯის სტატუსის მინიჭების პროცესში.

**წინამდებარე ამოცანის შესრულების შემთხვევაში უზრუნველყოფილი იქნება:** მსაჯთა და დელეგატთა ლიცენზირების ეროვნული სისტემის ჩამოყალიბება.

**ამოცანა 8.4. მსაჯების წახალისება და მოტივაციის ამაღლება.**

ფედერაცია დიდი ყურადღებას დაუთმობს მსაჯთა პროფესიის პოპულარობის ზრდასა და საზოგადოებაში არსებული ნეგატიური სტერეოტიპული დამოკიდებულების შეცვლას.

ფედერაცია უზრუნველყოფს სხვადასხვა ღონისძიებების განხორციელებას, მათ შორის: კვალიფიკაციის ამაღლებისთვის სხვადასხვა პროგრამების ხელმისაწვდომობას, ასევე ხარისხიანი ეკიპირების და სხვა ინვენტარის მიწოდებას.

სხვა ქმედებებთან ერთად, ფედერაცია განახორციელებს ცნობიერების ასამაღლებელ ღონისძიებს, რათა მოახდინოს მსაჯთა მიმართ გამოვლენილი არასპორტული ქმედებების პრევენციაა.

**წინამდებარე ამოცანის შესრულების შემთხვევაში უზრუნველყოფილი იქნება:** მსაჯების წახალისების და მოტივაციის ამაღლების პროგრამის შექმნა და დამტკიცება.

| მიზანი 8. მსაჯთა რაოდენობის ზრდა და მათი მზადება საერთაშორისო სტანდარტების შესაბამისად | | | | |
|---|---|---|---|---|
| ამოცანის ინდიკატორი | საბაზისო მაჩვენებელი, 2021 | შუალედური მაჩვენებელი, 2025 | სამიზნე მაჩვენებელი, 2030 | დადასტურების წყარო |
| **ამოცანა 8.1. მსაჯთა და დელეგათა კომისიის გაძლიერება, კომპლექსური პოლიტიკის განხორციელება.** | | | | |
| მსაჯთა და დელეგატთა კომისიის გაძლიერება და ამ კუთხით კომპლექსური პოლიტიკის განხორციელება | შემუშავებული და დამტკიცებულია მსაჯთა და დელეგატთა კომისიის კომპლექსური პოლიტიკის განხორციელების სამოქმედო გეგმა | განახლებულია მსაჯთა და დელეგატთა კომისიის კომპლექსური პოლიტიკის განხორციელების სამოქმედო გეგმა. უწყვეტად ხორციელდება აღნიშნული სამოქმედო გეგმით განსაზღვრული აქტივობები. | განახლებულია მსაჯთა და დელეგატთა კომისიის კომპლექსური პოლიტიკის განხორციელების სამოქმედო გეგმა. უწყვეტად ხორციელდება აღნიშნული სამოქმედო გეგმით განსაზღვრული აქტივობები. | |
| **ამოცანა 8.2. მსაჯთა და დელეგატთა მომზადების და გადამზადების ეროვნული სისტემის ჩამოყალიბება.** | | | | |
| მსაჯთა და დელეგატთა მომზადებისა და გადამზადების ეროვნული სისტემის ჩამოყალიბება. | ჩამოყალიბებულია მსაჯთა და დელეგათა მომზადებისა და გადამზადების ეროვნული სისტემა. | ჩამოყალიბებულია მსაჯთა და დელეგათა მომზადებისა და გადამზადების ეროვნული სისტემა. | ჩამოყალიბებულია მსაჯთა და დელეგათა მომზადებისა და გადამზადების ეროვნული სისტემა. | |
| | ჩატარებული ლექცია/სემინარების რაოდენობა 2 | ჩატარებული ლექცია/სემინარების რაოდენობა 4 | ჩატარებული ლექცია/სემინარების რაოდენობა 4 | |
| | მომზადებულია/ გადამაზდებულია 6 მსაჯი | მომზადებულია/ გადამაზდებულია 12 მსაჯი | მომზადებულია/ გადამაზდებულია 18 მსაჯი | |
| | მომზადებულია/ გადამაზდებულია 2 დელეგატი | მომზადებულია/ გადამაზდებულია 6 დელეგატი | მომზადებულია/ გადამაზდებულია 8 დელეგატი | |

| მიზანი 8. მსაჯთა რაოდენობის ზრდა და მათი მზადება საერთაშორისო სტანდარტების შესაბამისად | | | | |
|---|---|---|---|---|
| ამოცანის ინდიკატორი | საბაზისო მაჩვენებელი, 2021 | შუალედური მაჩვენებელი, 2025 | სამიზნე მაჩვენებელი, 2030 | დადასტურების წყარო |
| **ამოცანა 8.3. მსაჯთა ლიცენზირების ეროვნული სისტემის დანერგვა და მაღალკვალიფიციური მსაჯობის რაოდენობის ზრდა.** | | | | |
| ეროვნული ფედერაციის ლიცენზიის მქონე მსაჯთა და დელეგატთა რაოდენობა | ეროვნული ფედერაციის ლიცენზიის მქონე მსაჯთა რაოდენობა 6 | ეროვნული ფედერაციის ლიცენზიის მქონე მსაჯთა რაოდენობა 12 | ეროვნული ფედერაციის ლიცენზიის მქონე მსაჯთა რაოდენობა 22 | |
| | ეროვნული ფედერაციის ლიცენზიის მქონე დელეგათა რაოდეობა 4 | ეროვნული ფედერაციის ლიცენზიის მქონე დელეგათა რაოდეობა 6 | ეროვნული ფედერაციის ლიცენზიის მქონე დელეგათა რაოდეობა 12 | |
| ეროვნული ჩემპიონატში EHF-ის კატეგორიის მქონე მსაჯთა და დელეგატთა რაოდენობა | ეროვნული ჩემპიონატში EHF-ის კატეგორიის მქონე მსაჯთა და დელეგატთა რაოდენობა 1 | ეეროვნული ჩემპიონატში EHF-ის კატეგორიის მქონე მსაჯთა და დელეგატთა რაოდენობა 5 | ეეროვნული ჩემპიონატში EHF-ის კატეგორიის მქონე მსაჯთა და დელეგატთა რაოდენობა 9 | |
| **ამოცანა 8.4. მსაჯების წახალისების და მოტივაციის ამაღლება.** | | | | |
| ეროვნული ჩემპიონატის მონაწილე მსაჯების რაოდენობა, რომელთა მიმართაც ფედერაციის მიერ გამოყენებულ იქნა წახალისების რაიმე ფორმა | ფედერაციის მიერ, 10 მსაჯისათვის ხარისხიანი ეკიპირებისა და სხვა ინვენტარის შეძენის მიზნით, გამოყოფილ იქნა შესაბამისი ფინანსური სახსრები; | ფედერაციის მიერ, 18 მსაჯისათვის ხარისხიანი ეკიპირებისა და სხვა ინვენტარის შეძენის მიზნით, გამოყოფილ იქნა შესაბამისი ფინანსური სახსრები; | ფედერაციის მიერ, 24 მსაჯისათვის ხარისხიანი ეკიპირებისა და სხვა ინვენტარის შეძენის მიზნით, გამოყოფილ იქნა შესაბამისი ფინანსური სახსრები; | |
| | ფედერაციის მიერ 6 მსაჯისათვის გამოყოფილ იქნა შესაბამისი ფინანსური სახსრები კვალიფიკაციის ასამაღლებელ საერთაშორისო სასწავლო პროგრამებში მივლენის მიზნით; | ფედერაციის მიერ 6 მსაჯისათვის გამოყოფილ იქნა შესაბამისი ფინანსური სახსრები კვალიფიკაციის ასამაღლებელ საერთაშორისო სასწავლო პროგრამებში მივლენის მიზნით; | ფედერაციის მიერ 6 მსაჯისათვის გამოყოფილ იქნა შესაბამისი ფინანსური სახსრები კვალიფიკაციის ასამაღლებელ საერთაშორისო სასწავლო პროგრამებში მივლენის მიზნით; | |
| | მსაჯთა საქმიანობის ფინანსური და მატერიალური წახალისების მიზნით, ფედერაციის ბიუჯეტიდან დამატებით გამოყოფილ იქნა მსაჯთა მომსახურების ღირებულების თანხის 5 %-ით | გაზრდილია მსაჯთა ფინანსური ანაზღაურების ოდენობა 30 %-ით | გაზრდილია მსაჯთა ფინანსური ანაზღაურების ოდენობა და იგი შეესაბამება ევროპის ხელბურთის ფედერაციის სტანდარტებს. | |

# მიზანი 9.

## ხელბურთი ყველგან და ყველასთვის პროგრამების განხორციელება, სასკოლო, სტუდენტური, ეტლით მოსარგებლეთა და ქუჩის ხელბურთის განვითარების სისტემების ჩამოყალიბება და მათი ფუნქციონირების უზრუნველყოფა

„ხელბურთი ყველგან და ყველასთვის“ წარმოადგენს მასობრივი სპორტის კონცეფციაზე შემუშავებულ მიმართულებას, რომელიც ემსახურება მოსახლეობის ფართო ფენების ჩართულობას ხელბურთში, სხვადასხვა ასაკობრივი ჯგუფების ფიზიკური აქტივობის ზრდას, მათი გონებრივი უნარების განვითარებას, პროფესიული სპორტისთვის ნიჭიერი ბავშვების აღმოჩენას, მონაწილეთა სოციალიზაციას და სხვა.

„ხელბურთი ყველგან და ყველასთვის“ ფედერაციის ყველაზე მსხვილი სამოქმედო კომპონენტია, რომელიც უზრუნველყოფს მონაწილეთა მაქსიმალურად დიდი რაოდენობის ჩართულობას, მასში გაერთიანებულია სასკოლო, საუნივერსიტეტო, ეტლით მოსარგებლეთა და ქუჩის ხელბურთის მიმართულებები.

მიზნის - „ხელბურთი ყველგან და ყველასათვის“ მისაღწევად, ფედერაცია უზრუნველყოფს: ა) მასობრივი ხელბურთის განვითარების პროგრამების შემუშავებას და განხორციელებას. ბ) ზოგადსაგანმანათლებლო დაწესებულებებში ხელბურთის დანერგვას, გ) საქართველოს სტუდენტების ორგანიზებულ სახელბურთო აქტივობებში ჩართულობას, სტუდენტური ლიგების შექმნას, დ) ეტლით მოსარგებლეთა ხელბურთის განვითარებისთვის სტრატეგიული და სამართლებრივი დოკუმენტის შექმნას და განხორციელებას, ე) ქუჩის ხელბურთის („გოალჩა“) პოპულარიზაციას და მოსახლეობის ფართო ფენების მასში ჩართვას.

**ამოცანა 9.1. მასობრივი ხელბურთის განვითარების პროგრამის დამტკიცება და განხორციელება**

წინამდებარე ამოცანის ფარგლებში დაგეგმილია: პარტნიორი ორგანიზაციების მოძიება, მათი როლის განსაზღვრა, მჭიდრო კომუნიკაციისა და ერთობლივი თანამშრომლობის უზრუნველყოფა. მასობრივ ხელბურთში არსებული მდგომარეობისა და ახალი შესაძლებლობების გამოსაკვეთად სიღრმისეული ანალიზის ჩატარება, პროგრამის „ხელბურთი ყველგან და ყველასთვის“ შემუშავება, მისი სამოქმედო ამოცანებისა და ბიუჯეტის განსაზღვრა

**წინამდებარე ამოცანის შესრულების შემთხვევაში უზრუნველყოფილი იქნება:** მასობრივი ხელბურთის განვითარების პროგრამის დამტკიცება და განხორციელება; პროგრამის განვითარებაზე პასუხისმგებელი პირების და მათი ფუნქცია-მოვალეობების განსაზღვრა.

**ამოცანა 9.2. სასკოლო ხელბურთის განვითარება და ზოგადსაგანმანათლებლო დაწესებულებებში ხელბურთის დანერგვა**.

მასობრივი სპორტის განვითარების სისტემაში, სასკოლო სპორტს განსაკუთრებული ადგილი უკავია, რაც განპირობებულია სკოლის სისტემის ინსტიტუციონალიზაციით, ბავშვთა და მოზარდთა დიდი რაოდენობით, დასწრების რეგულარობით, ხელმისაწვდომი სპორტული ინფრასტრუქტურით და სხვა. საქართველოს მასშტაბით მოქმედებს 2 308 კერძო და საჯარო ზოგადსაგანმანათლებლო დაწესებულება, რომელშიც 2019 წლის მონაცემებით ირიცხება 575,140 მოსწავლე (mes.gov.ge).

პარტნიორ ორგანიზაციებთან მჭიდრო თანამშრომლობით, ფედერაცია ხელს შეუწყობს სკოლების ფიზიკური აღზრდისა და სპორტის პედაგოგების გადამზადებას, სპორტის გაკვეთილებზე ხელბურთის უნარ ჩვევების სწავლებას, სკოლების ბაზაზე სახელბურთო გუნდების შექმნას, სკოლებს შორის რეგულარული შეჯიბრებებისა და ფესტივალების ორგანიზებას, ასევე სხვა მასობრივი ღონისძიებების განხორციელებას რაც გავლენას მოახდენს ხელბურთში ზოგადსაგანმანათლებლო დაწესებულებების ინტენსიურ მონაწილეობაზე.

სკოლის ხელბურთის პროგრამაში ბავშვების მოტივაციის გაზრდის ძირითადი წინაპირობებია საქართველოში გამართული სხვადასხვა საერთაშორისო სასკოლო სახელბურთო ფესტივალებსა და ტურნირებში მონაწილეობა, ასევე ეროვნულ ლიგაში გამარჯვებული გუნდების სასკოლო მსოფლიო ჩემპიონატში ასპარეზობის შესაძლებლობა.

**წინამდებარე ამოცანის შესრულების შემთხვევაში უზრუნველყოფილი იქნება:** ა) ბავშვთა და სასკოლო სპორტის ეროვნულ ფედერაციასთან ურთიერთთანამშრომლობის მემორანდუმის გაფორმება, ბ) სპორტის გაკვეთილებზე ხელბურთის უნარ ჩვევების სწავლების სპეციალური მოდულებისა და პროგრამების შექმნა. გ) ფიზიკური აღზრდისა და სპორტის პედაგოგების გადამზადების მიზნით მათი სწავლებისა და კვალიფიკაციის ასამაღლებელი კურსების ჩატარება. დ) საჯარო სკოლების სახელბურთო ინვენტარით უზრუნველყოფა. ე) სასკოლო შეჯიბრებებისა და ფესტივალების მოწყობა როგორც დარბაზის, ისე ქვიშისა და ქუჩის ხელბურთის სახეობებში.

# მიზანი 9.

## ხელბურთი ყველგან და ყველასთვის პროგრამების განხორციელება, სასკოლო, სტუდენტური, ეთნიკურ მოსარგებლეთა და ქუჩის ხელბურთის განვითარების სისტემების ჩამოყალიბება და მათი ფუნქციონირების უზრუნველყოფა

**ამოცანა 9.3. სტუდენტური ხელბურთის განვითარება.**
საქართველოში სტუდენტების ორგანიზებულ სპორტულ აქტივობაში ჩართულობას უზრუნველყოფს „საუნივერსიტეტო სპორტის ეროვნული ფედერაცია“, რომელიც ყოველწლიურად, ქვეყნის მასშტაბით, ატარებს სხვადასხვა სპორტულ შეჯიბრებებს და უნივერსიადას. ხელბურთის ფედერაცია საუნივერსიტეტო სპორტის ეროვნული ფედერაციასთან ერთობლივად უზრუნველყოფს სხვადასხვა სტუდენტური ლიგების შექმნას და მათ რეგულარულ ჩატარებას დარბაზის, ქვიშის და ქუჩის ხელბურთის სახეობებში. ამ ამოცანის ფარგლებში უზრუნველყოფილი იქნება დაინტერესებული უმაღლესი და პროფესიული სასწავლებლებისთვის შესაბამისი საწვრთნელი და სხვა ტექნიკური დახმარების მიწოდება.
ხელბურთის ფედერაციის მიზანს წარმოადგენს ხელბურთში სტუდენტური ნაკრები გუნდის ფორმირება, როგორც დარბაზის, ისე ქვიშის ხელბურთში, რომელიც მონაწილეობას მიიღებს მსოლფიო უნივერსიადაზე, ხოლო საქართველოს სტუდენტური თამაშების ჩემპიონი გუნდები წარადგენენ საქართველოს სახელს სტუდენტურ მსოფლიო და ევროპის ჩემპიონატებზე.
**წინამდებარე ამოცანის შესრულების შემთხვევაში უზრუნველყოფილი იქნება:** ა) საუნივენრსიტეტო სპორტის ფედერაციასთან ურთიერთთანამშრომლობის მემორანდუმის გაფორმება, ბ) სტუდენტური ფედერაციის ორგანიზებით გამართული სპორტული შეჯიბრებების, ფესტივალების და უნივერსიადის პროგრამებში სახელბურთი კომპონენტების შეტანა; გ) საუნივერსიტეტო სპორტის ფედერაციასთან ერთად, სტუდენტური ნაკრები გუნდების ფორმირება, როგორც დარბაზის, ისე ქვიშის ხელბურთის სახეობებში.

**ამოცანა 9.4. მოსახლეობის ფართო ფენების ჩართვა ქუჩის ხელბურთში** „გოალჩა“ არის ქუჩის ხელბურთი, რომელიც განკუთვნილია მოსახლეობის ფართო ფენებისთვის. ის გამოირჩევა მარტივი სათამაშო წესებით (ადაპტირებული ხელბურთის წესები) და საჭიროებს მინიმალურ ინვენტარს. მისი თამაში შეიძლება როგორც ასფალტზე, ასევე მიწის სხვა ზედაპირზე.

პარტნიორ ორგანიზაციებთან მჭიდრო თანამშრომლობით, ფედერაცია უზრუნველყოფს: ხელბურთში ჩართული პირებისთვის (მწვრთნელები, კლუბების წამომადგენლები, ფიზიკური აღზრდისა და სპორტის პედაგოგები) „გოალჩას“ წესებისა და მისი პოტენციალის შესახებ ინფორმაციის მიწოდებას; „გოალჩას“ გამოყენებით ქვეყნის მასშტაბით ხელბურთის პოპულარიზაციის ხელშეწყობას და მასში ფართო მასების ჩართვას; საჯარო მინი-სტადიონებზე საჩვენებელი ვარჯიშების/თამაშების ორგანიზებას და ადგილობრივი მოსახლეობის ჩართულობას, სამოყვარულო ლიგების და ქუჩის ხელბურთის სხვადასხვა ფესტივალების ორგანიზებას, რაც ხელს შეუწყობს „გოალჩას“ თამაშში მოსახლეობის ფართო ჯგუფების ჩართვას (მიუხედავად მათი ფიზიკური თუ სხვა შესაძლებლობებისა)

**წინამდებარე ამოცანის შესრულების შემთხვევაში უზრუნველყოფილი იქნება:** ა) ხელბურთში ჩართული პირებისთვის „გოალჩას“ წესების სწავლება და მისი უპირატესობების შესახებ ინფორმაციის მიწოდება. ბ) ადგილობრივი თვითმართველობის ორგანოებთან, საჯარო სკოლებთან და ინსტიტუტებთან ერთობლივად სამოყვარულო ლიგების და ქუჩის ხელბურთის სხვადასხვა ფესტივალების ორგანიზება.

# მიზანი 9.

## ხელბურთი ყველგან და ყველასთვის პროგრამების განხორციელება, სასკოლო, სტუდენტური, ეტლით მოსარგებლეთა და ქუჩის ხელბურთის განვითარების სისტემების ჩამოყალიბება და მათი ფუნქციონირების უზრუნველყოფა

„ხელბურთი არ უნდა იზღუდებოდეს ასაკით, გენდერის ან ფიზიკური შესაძლებლობების ნიშნით! ხელბურთი არის სპორტის ის სახეობა, რომელიც განკუთვნილია ყველასათვის - საზღვრების გარეშე!“. - ამ დევიზის გათვალისწინებით, ევროპისა და საერთაშორისო ხელბურთის ფედერაციებმა თავის საქმიანობას დაამატეს ეტლით მოსარგებლეთა ხელბურთი. მომდევნო წლებში მოხდება სათამაშო წესების, მოთამაშეთა კლასიფიცირების და საშეჯიბრო რეგულაციების ადაპტაცია/დამტკიცება. აღსანიშნავია, რომ რეგლამენტის გათვალისწინებით, აუცილებელ პირობას წარმოადგენს გუნდში ერთდროულად ქალების და კაცების მონაწილეობა (შერეული გუნდი). 2021 წელს დაგეგმილია პირველი მსოფლიო ჩემპიონატის ჩატარება ეტლით მოსარგებლეთა ხელბურთში.

**ამოცანა 9.5. ეტლით მოსარგებლეთა ხელბურთის განვითარებისთვის სტრატეგიული და სამართლებრივი ჩარჩოს შექმნა**

საქართველოში ეტლით მოსარგებლეთა ხელბურთის ჩამოსაყალიბებლად საჭიროა: ეტლით მოსარგებლეთა ხელბურთის განვითარებისათვის სტრატეგიული და სამართლებრივი ჩარჩოს შექმნა, ეროვნული საშეჯიბრო სისტემის ჩამოყალიბება და ნაკრების ფორმირება.

ამ ამოცანის შესრულების მიზნით, განსახორციელებელია სხვადასხვა აქტივობები. პირველ რიგში, საჭიროა ერთიანი სამოქმედო გეგმისა და შესაბამისი სამართლებრივი რეგულაციების ჩამოყალიბება. გარდა ამისა, ეტლით მოსარგებლეთა ხელბურთის სისტემის მნიშვნელოვან კომპონენტებს წარმოადგენენ: მონაწილე სპორტსმენები, აღჭურვილობა, ადაპტირებული სპორტული ინფრასტრუქტურა და საწვრთნელო მომსახურების ხელმისაწვდომობა.

საქართველოს ეროვნულ პარაოლიმპიურ კომიტეტთან თანამშრომლობით და მათი მხარდაჭერით ფედერაცია უზრუნველყოფს ადგილობრივი მწვრთნელების და მსაჯების შესაბამის მომზადებას/გადამზადებას და სამწვრთნელო მომსახურების ხელმისაწვდომობას სპორტის ამ სახეობით დაინტერესებული პირებისთვის ამ სახეობაში მონაწილეობით დაინტერესებული პირების იდენტიფიცირებას და მათ მობილიზებას გუნდების ფორმირების მხარდაჭერას, მათთვის სათანადო სერვისების ხელმისაწვდომობას და ეროვნულ დონეზე რეგულარული შეჯიბრის ორგანიზებას, ნაკრები გუნდის ფორმირებას და მის მონაწილეობას საერთაშორისო შეჯიბრში. სახელმწიფო და კერძო ფინანსური რესურსის მობილიზებას ეტლით მოსარგებლეთა ხელბურთის მდგრადობის და განვითარების მიზნით.

**წინამდებარე ამოცანის შესრულების შემთხვევაში უზრუნველყოფილი იქნება**: ა) საქართველოში ეტლით მოსარგებლეთა ხელბურთის განვითარების მიზნობრივი პროგრამის დამტკიცება; ბ) EHF-ის მიერ განსაზღვრული კლასიფიკაციის გათვალისწინებით ეტლით მოსარგებლეთა ხელბურთის ეროვნული წესებისა და სხვა მარეგულირებელი აქტების ჩამოყალიბება; გ) ეროვნული საშეჯიბრო სისტემის ჩამოყალიბება; დ) ადგილობრივ მწვრთნელთა და მსაჯთა გადამზადება; ე) ჩემპიონატის მონაწილე გუნდების უზრუნველყოფი ყველა აუცილებელი ინვენტარით; ვ) ეროვნული ნაკრები გუნდის მონაწილეობას საერთაშორისო ღონისძიებებში;

| მიზანი 9. ხელბურთი ყველგან და ყველასთვის პროგრამების განხორციელება | | | | |
|---|---|---|---|---|
| ამოცანის ინდიკატორი | საბაზისო მაჩვენებელი, 2021 | შუალედური მაჩვენებელი, 2025 | სამიზნე მაჩვენებელი, 2030 | დადასტურების წყარო |
| **ამოცანა 9.1. მასობრივი ხელბურთის განვითარების პროგრამის დამტკიცება და განხორციელება** | | | | |
| მასობრივი ხელბურთის განვითარების პროგრამის შემუშავება და დამტკიცება | შემუშავებულია და დამტკიცებულია მასობრივი ხელბურთის განვითარების პროგრამა | განახლებულია მასობრივი ხელბურთის განვითარების პროგრამა | განახლებულია მასობრივი ხელბურთის განვითარების პროგრამა. უწყვეტად ხორციელდება აღნიშნული სამოქმედო გეგმით განსაზღვრული აქტივობები. | |
| **ამოცანა 9.2. სასკოლო ხელბურთის განვითარება და ზოგადსაგანმანათლებლო დაწესებულებებში ხელბურთის დანერგვა.** | | | | |
| ბავშვთა და სასკოლო სპორტის ეროვნულ ფედერაციასთან მემორანდუმის გაფორმება | გაფორმებულია მემორანდუმი ბავშვთა და სასკოლო სპორტის ეროვნულ ფედერაციასთან | გაფორმებულია მემორანდუმი ბავშვთა და სასკოლო სპორტის ეროვნულ ფედერაციასთან. უწყვეტად ხორციელდება მემორანდუმის პირობები | გაფორმებულია მემორანდუმი ბავშვთა და სასკოლო სპორტის ეროვნულ ფედერაციასთან. უწყვეტად ხორციელდება მემორანდუმის პირობები | |
| შესაბამისი მოდულებისა და საწავლო პროგრამებისა შექმნა რომელთა მიხედვითაც მოხდება სკოლების ფიზიკური აღზრდისა და სპორტის პედაგოგების გადამზადება | სკოლების ფიზიკური აღზრდისა და სპორტის პედაგოგებისათვის შექმნილია შესაბამისი მოდულები და სასწავლო პროგრამები | სკოლების ფიზიკური აღზრდისა და სპორტის პედაგოგებისათვის თანამედროვე მოთხოვნებთან შესაბამისობაშია სასწავლო მოდულები და პროგრამები. | სკოლების ფიზიკური აღზრდისა და სპორტის პედაგოგებისათვის თანამედროვე მოთხოვნებთან შესაბამისობაშია სასწავლო მოდულები და პროგრამები. | |
| | ფედერაციის მიერ გადამზადებულია და შესაბამისი კვალიფიკაცია მინიჭებული აქვს ფიზიკური აღზრდისა და სპორტის 60 პედაგოგს. | ფედერაციის მიერ გადამზადებულია და შესაბამისი კვალიფიკაცია მინიჭებული აქვს ფიზიკური აღზრდისა და სპორტის 350 პედაგოგს. | ფედერაციის მიერ გადამზადებულია და შესაბამისი კვალიფიკაცია მინიჭებული აქვს ფიზიკური აღზრდისა და სპორტის 800 პედაგოგს. | |
| საჯარო სკოლების სახელბურთო ინვენტარით უზრუნველყოფა | სახელბურთო ინვენტარით ნაწილობრივ უზრუნველყოფილია 60 საჯარო სკოლაში; | სახელბურთო ინვენტარით ნაწილობრივ უზრუნველყოფილია 130 საჯარო სკოლაში; | სახელბურთო ინვენტარით ნაწილობრივ უზრუნველყოფილია 250 საჯარო სკოლაში; | |
| სასკოლო სახელბურთო შეჯიბრებებისა და ფესტივალების მოწყობა და მისი % ზრდის მაჩვენებელი | 25% | 60% | 80% | |

| მიზანი 9. ხელბურთი ყველგან და ყველასთვის პროგრამების განხორციელება | | | | |
|---|---|---|---|---|
| ამოცანის ინდიკატორი | საბაზისო მაჩვენებელი, 2021 | შუალედური მაჩვენებელი, 2025 | სამიზნე მაჩვენებელი, 2030 | დადასტურების წყარო |
| **ამოცანა 9.3. სტუდენტური ხელბურთის განვითარება.** | | | | |
| მემორანდუმის გაფორმება საუნივერსიტეტო სპორტის ფედერაციასთან | გაფორმებულია მემორანდუმი საუნივერსიტეტო სპორტის ფედერაციასთან | საუნივერსიტეტო სპორტის ფედერაციასთან გაფორმებულია მემორანდუმი. უწყვეტად ხორციელდება მემორანდუმის პირობები | საუნივერსიტეტო სპორტის ფედერაციასთან გაფორმებულია მემორანდუმი. უწყვეტად ხორციელდება მემორანდუმის პირობები | |
| სტუდენტური ლიგა დარბაზის ხელბურთში | შექმნილია სტუდენტური ლიგა დარბაზის ხელბურთში, მონაწილეობს 6 ვაჟთა და 4 გოგონათა გუნდი | შექმნილია სტუდენტური ლიგა დარბაზის ხელბურთში, მონაწილეობს 10 ვაჟთა და 8 გოგონათა გუნდი | შექმნილია სტუდენტური ლიგა დარბაზის ხელბურთში, მონაწილეობს 12 ვაჟთა და 12 გოგონათა გუნდი | |
| სტუდენტური ლიგა ქვიშის ხელბურთში | შექმნილია სტუდენტური ლიგა ქვიშის ხელბურთში მონაწილეობს 6 ვაჟთა და 4 გოგონათა გუნდი | შექმნილია სტუდენტური ლიგა ქვიშის ხელბურთში მონაწილეობს 6 ვაჟთა და 4 გოგონათა გუნდი | შექმნილია სტუდენტური ლიგა ქვიშის ხელბურთში მონაწილეობს 6 ვაჟთა და 4 გოგონათა გუნდი | |
| სტუდენტთა სპორტული აქტივობები ქუჩის ხელბურთში | ტარდება სპორტული აქტივობები ქუჩის ხელბურთში, სულ 15 აქტივობა | ტარდება სპორტული აქტივობები ქუჩის ხელბურთში, სულ 50 აქტივობა | ტარდება სპორტული აქტივობები ქუჩის ხელბურთში, სულ 150 აქტივობა | |
| **ამოცანა 9.4. მოსახლეობის ფართო ფენების ჩართვა ქუჩის ხელბურთში** | | | | |
| ქუჩის ხელბურთის სამოყვარულო ლიგები | შექმნილია ქუჩის ხელბურთის სამოყვარულო ლიგები, სულ 4 ლიგა | შექმნილია ქუჩის ხელბურთის სამოყვარულო ლიგები, სულ 12 ლიგა | შექმნილია ქუჩის ხელბურთის სამოყვარულო ლიგები, სულ 50 ლიგა | |

| მიზანი 9. ხელბურთი ყველგან და ყველასთვის პროგრამების განხორციელება | | | | |
|---|---|---|---|---|
| ამოცანის ინდიკატორი | საბაზისო მაჩვენებელი, 2021 | შუალედური მაჩვენებელი, 2025 | სამიზნე მაჩვენებელი, 2030 | დადასტურების წყარო |
| **ამოცანა 9.5. ეტლით მოსარგებლეთა ხელბურთის განვითარებისთვის სტრატეგიული და სამართლებრივი ჩარჩოს შექმნა** | | | | |
| ეტლით მოსარგებლეთა ხელბურთის განვითარების მიზნობრივი პროგრამის დამტკიცება | შემუშავებული და დამტკიცებულია ეტლით მოსარგებელთა ხელბურთის განვითარების მიზნობრივი პროგრამა | განახლებულია ეტლით მოსარგებელთა ხელბურთის განვითარების მიზნობრივი პროგრამა. უწყვეტად ხორციელდება აღნიშნული სამოქმედო გეგმით განსაზღვრული აქტივობები | განახლებულია ეტლით მოსარგებელთა ხელბურთის განვითარების მიზნობრივი პროგრამა. უწყვეტად ხორციელდება აღნიშნული სამოქმედო გეგმით განსაზღვრული აქტივობები | |
| ეტლით მოსარგებლეთა ხელბურთის მარეგულირებელი შიდა წესების დამტკიცება | EHF-ს მიერ განსაზღვრული კლასიფიკაციის გათვალისწინებით ჩამოყალიბებულია ეტლით მოსარგებლეთა ხელბურთის თამაშის წესები და სხვა მარეგულირებელი აქტები | EHF-ს მოთხოვნებთან სრულ შესაბამისობაშია ეტლით მოსარგებლეთა ხელბურთის თამაშის წესები და სხვა მარეგულირებელი აქტები | EHF-ს მოთხოვნებთან სრულ შესაბამისობაშია ეტლით მოსარგებლეთა ხელბურთის თამაშის წესები და სხვა მარეგულირებელი აქტები | |
| შიდა ჩემპიონატების ორგანიზება, ჩემპიონატში მონაწილე გუნდების რაოდენობა | ჩამოყალიბებულია ეროვნული საწვრთნელი და საშეჯიბრო სისტემა | ჩამოყალიბებულია ეროვნული საწვრთნელი და საშეჯიბრო სისტემა | ჩამოყალიბებულია ეროვნული საწვრთნელი და საშეჯიბრო სისტემა | |
| | გადამზადებულია 2 ადგილობრივი მწვრთნელი | გადამზადებულია 4 ადგილობრივი მწვრთნელი | გადამზადებულია 10 ადგილობრივი მწვრთნელი | |
| | გადამაზდებულია 2ადგილობრივი მსაჯი | გადამაზდებულია 4 ადგილობრივი მსაჯი | გადამაზდებულია 4 ადგილობრივი მსაჯი | |
| | | ჩემპიონატში მონაწილეობს 2 გუნდი | ჩემპიონატში მონაწილეობს 4 გუნდი | |
| ეროვნული ნაკრები გუნდის ფორმირება | ჩამოყალიბებულია ეროვნული ნაკრები გუნდი | ჩამოყალიბებულია ეროვნული ნაკრები გუნდი და მონაწილეობას იღებს საერთაშორისო ღონისძიებებში; | ჩამოყალიბებულია ეროვნული ნაკრები გუნდი და მონაწილეობას იღებს საერთაშორისო ღონისძიებებში; | |

# მიზანი 10.

## კეთილმოწყობილ ინფრასტრუქტურაზე ხელმისაწვდომობის უზრუნველყოფა

საქართველოში ხელბურთის შემდგომი განვითარების გზაზე ერთ-ერთ ყველაზე რთულ პრობლემას სათანადო სპორტული ინფრასტრუქტურის სიმცირე და არსებულის დაბალი სტანდარტი წარმოადგენს. გაუმართავი და არაკომფორტული ინფრასტრუქტურა უარყოფითად აისახება სპორტსმენთა მოტივაციაზე და კარიერის განვითარებაზე.

ხელბურთის ეროვნული წესების და სტანდარტების გათვალისწინებით, უმაღლესი და ასაკობრივი ჩემპიონატისთვის, ფედერაცია იყენებს 2 კატეგორიის სპორტულ დარბაზს: ა) უმაღლესი ლიგებისთვის (კაცები, ქალები); ბ) ახალგაზრდული ჩემპიონატებისათვის (17- და 15-წლამდე, გოგონები, ვაჟები). ამ კატეგორიებისთვის, საქართველოს მასშტაბით, ფედერაციისა და კლუბებისთვის ჯამში 9 დარბაზია ხელმისაწვდომი. გეოგრაფიულად დარბაზები განლაგებულია თბილისში, თელავში, ზესტაფონში, ქუთაისში, სენაკში, ხელვაჩაურში, ქუთაისსა და ტყიბულში. ხელბურთის საერთაშორისო დონის თამაშების მასპინძლობა, ქვეყნის მასშტაბით, შესაძლებელია მხოლოდ 2 ობიექტზე - გივი კარტოზიას სახელობის სპორტის სასახლეში და ოლიმპიურ სპორტის სასახლეში, თბილისში. აქვე გასათვალისწინებელია მშენებარე სპორტული არენები თელავში, გორში და ბათუმში, რომელთა სტანდარტები შესაბამისობაშია ხელბურთის საერთაშორისო დონის თამაშების ჩატარებისთვის საჭირო სტანდარტებთან, თუმცა დღესდღეისობით მათი მშენებლობა არ არის დასრულებული.

ფედერაციას და მის წევრებს ბალანზე არ ერიცხებოდათ სპორტული დარბაზები, შესაბამისად სპორტული ობიექტების სარგებლობისთვის, ფედერაცია იხდის იჯარის ღირებულებას (ჩემპიონატის თამაშებისა და ნაკრები გუნდების ვარჯიშების და ოფიციალური თამაშების ჩასატარებლად).

ხელბურთის გუნდების უმეტესი ნაწილი ვარჯიშებს ატარებს მუნიციპალიტეტების ბალანსზე რიცხულ სპორტულ დარბაზებში, სადაც ისინი ხელბურთისთვის განკუთვნილ ლიმიტირებულ დროს იყენებენ, შეზღუდული დრო კი კლუბებს ზღუდავს ახალი მსურველების მიღებაში. აღსანიშნავია, რომ ხელბურთის ზოგიერთი კლუბი მიმართავს საჯარო სკოლების დარბაზების ქირაობის პრაქტიკას და ამ ობიექტებზე ვარჯიშების ჩატარებას, თუმცა ხელბურთის კლუბების შეზღუდული ფინანსური რესურსი ამ პრაქტიკის გამოყენებას ართულებს.

**წინამდებარე ამოცანის შესრულების შემთხვევაში უზრუნველყოფილი იქნება**: ა) სახელმწიფო და კერძო სექტორის ორგანიზაციებთან ერთობლივად თანამშრომლობის გზით ხელმისაწვდომი გახადოს ეროვნული და ასაკობრივი ნაკრებებისთვის კეთილმოწყობილი სპორტული ინფრასტრუქტურა. ბ) ადგილობრივ ხელისუფლების წარმომადგენლებთან ერთობლივი თანამშრომლობის გზით მიაღწიოს ხელბურთის კლუბებისა და გუნდებისთვის სათამაშო და სავარჯიშო ინფრასტრუქტურის ხელმისაწვდომობას, ხელბურთისთვის განკუთვნილი ლიმიტირებული დროის გაზრდა. გ) კერძო ორგანიზაციების ინვესტიციების მოზიდვა ცენტრალური და ადგილობრივი ხელისუფლების საკუთრებაში არსებული დარბაზების კეთილმოწყობისა და რეაბილიტაციისთვის. ასევე, კერძო და საჯარო პარტნიორობაზე დაფუძნებული ინიციატივების განხორციელება. ფედერაციისთვის ან კლუბებისთვის საკუთრებაში ან გრძელვადიანი იჯარით სპორტული დარბაზების გადაცემა.

| მიზანი 10. კეთილმოწყობილი ინფრასტრუქტურის ხელმისაწვდომობის უზრუნველყოფა | | | | |
|---|---|---|---|---|
| ამოცანის ინდიკატორი | საბაზისო მაჩვენებელი, 2021 | შუალედური მაჩვენებელი, 2025 | სამიზნე მაჩვენებელი, 2030 | დადასტურების წყარო |
| **ამოცანა 10.1. კეთილმოწყობილი ინფრასტრუქტურის ხელმისაწვდომობის უზრუნველყოფა** | | | | |
| ხელბურთის ფედერაციის უსასყიდლო სარგებლობაში და/ან საკუთრებაში არსებული დარბაზების რაოდენობა | 0 | 1 | 3 | ფედერაცია |
| მუნიციპალურ დარბაზებში ხელბურთის გუნდებისათვის გამოყოფილი სავარჯიშო დროის % ზრდა | გაზრდილია 25%-ით | გაზრდილია 80 %-ით | გაზრდილია 150 %-ით | ფედერაცია |

# მიზანი 11.

## ხელბურთის პოპულარობის ზრდა და კომერციალიზაცია

ფედერაციის უმნიშვნელოვანეს გამოწვევას წარმოადგენს ხელბურთი ჩამოაყალიბოს წარმატებულ სპორტულ ბრენდად, განავითაროს მისი კომერციული მხარე და გააძლიეროს საქმიანობა საზოგადოებასთან ურთიერთობის კუთხით.

ხელბურთის პოპულარობის ზრდისა და კომერციალიზაციისათვის ფედერაცია უზრუნველყოფს: ა) ხელბურთის მასობრივ საინფორმაციო მხარდაჭერას ბ) ხელბურთის, როგორც ბრენდის ჩამოყალიბებას და კომერციულ განვითარებას.

**ამოცანა 11.1. ხელბურთის საინფორმაციო მხარდაჭერა**

ფედერაცია განსაკუთრებულ მნიშვნელობას ანიჭებს საზოგადებასთან ურთიერთობას და ამ მიმართულებით განახორციელებს მრავალფეროვან საქმიანობას, აქტიურად იყენებს მასობრივი და სოციალურ მედია საშუალებებს. ხელბურთის პოპულარიზაციის გაზრდის მიზნით უზრუნველყოფს სხვადასხვა სეგმენტისთვის - ხელისუფლების ორგანოები, მედია და ბიზნეს ორგანიზაციები, ხელბურთში ჩართული საერთაშორისო და ეროვნული სუბიექტები, მოსახლეობა, გულშემატკივრები და სხვა პირებისათვის მიზანმიმართული საინფორმაციო პროდუქტების შექმნას და შესაბამისი არხების მეშვეობით მიწოდებას. ასევე აქტიურად გამოიყენება სხვადასხვა ბეჭდური გამოცემები, რომელშიც ასახულია ფედერაციის ყოველწლიური საქმიანობის ანგარიში, ასევე ხელბურთის შესახებ სხვადასხვა საარქივო და ისტორიული მასალები.

საზოგადოებასთან ურთიერთობის პოლიტიკის გაუმჯობესებისთვის ფედერაცია უზრუნველყოფს ორგანიზაციაში დამატებითი ადამიანური რესურსის მოზიდვას და მათ ეფექტიან საქმიანობას. აღსანიშნავია, რომ საზოგადოებასთან ურთიერთობის სათანადო პოლიტიკა მნიშვნელოვანად შეუწყობს ხელს წინამდებარე სტრატეგიით განსაზღვრული ამოცანების შესრულებას.

**წინამდებარე ამოცანის შესრულების შემთხვევაში უზრუნველყოფილი იქნება**: ა) მასობრივ და სოციალურ მედიაში სახელბურთო სიახლეების შესახებ ინფორმაციის მაქსიმალურად გავრცელება. ბ) ბეჭდური მასალების სისტემატიური გამოცემა ხელბურთის თემებზე.

# მიზანი 11.

## ხელბურთის პოპულარობის ზრდა და კომერციალიზაცია

**ამოცანა 11.2 ხელბურთის, როგორც ბრენდის ჩამოყალიბება და კომერციული განვითარება.**

ხელბურთის ბრენდის ჩამოყალიბება და კომერციალიზაცია მოიცავს ფედერაციის აქტივობას მოიძიოს ახალი პარტნიორები და სხვადასხვა კერძო ორგანიზაციებიდან უზრუნველყოს სარეკლამო ბიუჯეტებისა და ინვესტიციების მოზიდვა, რითაც შესრულდება ეროვნული ფედერაციის ერთ-ერთ უმნიშვნელოვანესი გამოწვევა დამოუკიდებელი ფინანსური რესურსებით წარმართოს თავისი საქმიანობა.

ამ მიმართულებით ერთ-ერთი ძირითადი კომპონენტია საერთაშორისო ღონისძიებების მასპინძლობა. 2015-2019 წლებში ფედერაციამ საქართველოში უმასპინძლა 9 საერთაშორისო ღონისძიებას, მათ შორის: სხვადასხვა ჩემპიონატების საკვალიფიკაციო ეტაპების მატჩებს, ვაჟთა ევროპის ჩემპიონატებს, ქაბუკთა მსოფლიო ჩემპიონატს და სხვა. ამ ღონისძიებების ფარგლებში საქართველოს ეწვია ათასობით გულშემატკივარი, გაიზარდა ხელბურთში ჩართული პირების რიცხვი და ხელბურთისადმი მოსახლეობის ინტერესი, მოხდა სხვადასხვა კერძო კომპანიების პოზიციონირება საერთაშორისო აუდიტორიის წინაშე. მნიშვნელოვანია აღინიშნოს, რომ 2015-2019 წლებში IHF-ისა და EHF-ის პირდაპირმა მთლიანმა ინვესტიციამ ქვეყნის ეკონომიკაში შეადგინა 4,000,000 ლარზე მეტი.

ხელბურთის ბრენდის მნიშვნელოვანი შემადგენელი კომპონენტებია: ეროვნული და ასაკობრივი ნაკრები გუნდები, ეროვნული და ასაკობრივი ჩემპიონატები, ასევე საქმიანობის სხვა მიმართულებები (მაგ.: ქვიშის ხელბურთი, გოალჩა, ხელბურთი სკოლებში და სხვ) რომელთა ერთობლიობა იძლევა საშუალებას მცირე და მსხვილი ბიზნესის სარეკლამო ინტერესებზე მორგებული მრავალფეროვანი მარკეტინგული საქმიანობისათვის.

ხელბურთის მიმართ მედია მაღალი ინტერესი, ასევე ბრენდის კომერციალიზაციის მყარი წინაპირობაა. პოპულარიზაციის გაზრდის მიზნით, ფედერაცია უზრუნველყოფს მედია კონტენტის მრავალფეროვნების შემქნას. აღნიშნული გულისხმობს პირდაპირ ეთერში ეროვნული და ასაკობრივი ნაკრები გუნდების, ასევე ეროვნული და ასაკობრივი ჩემპიონატის უკლებლივ ყველა თამაშის პირდაპირ ეთერში ტრანსლირებას, მატჩის შემდგომი პრეს-კონფერენციების გაშუქებას, ასევე ცალკეული სიუჟეტების მომზადებას და გავრცელებას. ფედერაცია ყურადღებას გაამახვილებს კომუნიკაციის თანამედროვე საშუალებებთან თავსებადი მედია პროდუქტების შექმნაზე. ასევე გააძლიერებს თანამშრომლობას მასობრივი მედია საშუალებებთან ხელბურთის გაშუქების სიხშირის გაზრდის მიზნით.

აუცილებელია დარბაზში მოსული გულშემატკივრისთვის სასიამოვნო გარემოს შექმნა. აღმასრულებელი ხელისუფლების ორგანოებთან და სხვა შესაბამის ორგანიზაციებთან მჭიდრო თანამშრომლობით, ფედერაცია ხელს შეუწყობს სპორტულ დარბაზში გულშემატკივრისთვის უსაფრთხო და სასიამოვნო გარემოს შექმნას. აღნიშნული ითვალისწინებს ევროპის საბჭოს შესაბამისი რეკომენდაციების გათვალისწინებით, გულშემატკივრის უსაფრთხოების, დაცულობისა და მომსახურების სტანდარტების დანერგვას.

**წინამდებარე ამოცანის შესრულების შემთხვევაში უზრუნველყოფილი იქნება**: ა) სხვადასხვა კომერციულ ორგანიზაციებთან სასპონსორო ხელშეკრულებების გაფორმება; ბ) ევროპისა და საერთაშორისო ფედერაციებისგან საერთაშორისო ღონისძიებების მასპინძლობის უფლების მოპოვება; გ) სახელბურთო მატჩების სატელევიზიო გაშუქება;

| მიზანი 11. ხელბურთის კომერციალიზაცია და პოპულარობის ზრდა | | | | |
|---|---|---|---|---|
| ამოცანის ინდიკატორი | საბაზისო მაჩვენებელი, 2021 | შუალედური მაჩვენებელი, 2025 | სამიზნე მაჩვენებელი, 2030 | დადასტურების წყარო |
| **ამოცანა 11.1. ხელბურთის საინფორმაციო მხარდაჭერა** | | | | |
| მასობრივი და სოციალური მედია საშუალებების რაოდენობა, რომლებიც სისტემატიურად აშუქებენ სახელბურთო მოვლენებს | 18 | 35 | 50 | |
| კალენდარული წლის განმავლობაში, ფედერაციის მიერ, სახელბურთო თემაზე, გამოცემული ნაბეჭდი მასალების რაოდენობა | 3 | 10 | 15 | |
| **ამოცანა 11.2. ხელბურთის როგორც ბრენდის ჩამოყალიბება და კომერციული განვითარება** | | | | |
| კერძო აქტივობებით მიღებული საშუალო წლიური შემოსავალი | საშუალოდ 50 000 ლარი | საშუალოდ 250 000 ლარი | საშუალოდ 1 000 000 ლარი | |
| ფედერაციის ორგანიზებით საქართველოში ჩატარებული საერთაშორისო ღონისძიებების რაოდენობა | 1 ღონისძიება | 3 ღონისძიება | 5 ღონისძიება | |
| ტელევიზიით გაშუქებული სახელბურთო მატჩების რაოდენობა | 350 თამაში | 500 თამაში | 700 თამაში | |
| ეროვნული ნაკრები გუნდების (კაცები, ქალები) თამაშებზე გულშემატკივრის საშუალო დასწრება | საშუალოდ 3 000 მაყურებელი | საშუალოდ 6 000 მაყურებელი | საშუალოდ 9 000 მაყურებელი | |
| მაყურებელთა რაოდენობა, რომლებიც, ტელევიზიით ან ინტერნეტით, უყურებენ ეროვნული ჩემპიონატის თამაშის ტრანსლაციას | 50 000 მაყურებელი | 250 000 მაყურებელი | 1 500 000 მაყურებელი | |

# მიზანი 12.

## თანამშრომლობა ეროვნულ და საერთაშორისო სპორტულ ორგანიზაციებთან

**ამოცანა 12.1. ეროვნულ და საერთაშორისო სპორტულ ორგანიზაციებთან ერთობლივი განვითარების პროექტების განხორციელება, პროექტების განსახორციელებლად გრანტების მოპოვება.**

საქართველოს ხელბურთის ეროვნული ფედერაცია თავის საქმიანობაში დიდ ყურადღებას უთმობს თანამშრომლობას სხვადასხვა სახელმწიფო და სპორტულ ორგანიზაციებთან, როგორც ეროვნულ, ისე საერთაშორისო დონეზე, ამ კუთხით მუშაობის დროს განსაკუთრებული მნიშვნელობა ენიჭება სასწავლო, საგანმანათლებლო და განვითარების პროექტების ერთობლივად დაგეგმვასა და განხორციელებას.

ადგილობრივ დონეზე ფედერაცია აქტიურად თანამშრომლობს: - ცენტრალური და ადგილობრივი ხელისუფლების ორგანოებთან, განსაკუთრებით, სპორტზე პასუხისმგებელ სამინისტროსთან და თვითმმართველ მუნიციპალიტეტებთან; საქართველოს ეროვნულ ოლიმპიურ კომიტეტთან; საქართველოს პარალიმპურ კომიტეტთან; საუნივერსიტეტო სპორტის ფედერაციასთან; ბავშვთა და სასკოლო სპორტის ეროვნულ ფედერაციასთან; საქართველოს ეროვნულ ფედერაციასთან სპორტი ყველასათვის; საქართველოს ანტი-დოპინგური სააგენტოსთან; სპორტული მედიცინის ასოციაციასთან; საქართველოს ფიზიკური აღზრდისა და სპორტის სახელმწიფო სასწავლო უნივერსიტეტთან; საქართველოს ფიზიკური აღზრდისა და სპორტის სახელმწიფო საზოგადოებრივ კოლეჯთან, ზოგადსაგანმანათლებლო (სკოლები), პროფესიულ (კოლეჯები) და უმაღლესი სასწავლებლებთან (ინსტიტუტი, უნივერსიტეტი); ააიპ ხელბურთის ოლიმპიური მზადების აკადემიასთან; მასობრივი მედია საშუალებებთან; სხვადასხვა კომერციული ორგანიზაციებთან;

საერთაშორისო დონეზე ფედერაცია თანამშრომლობს მსოფლიო და ევროპის ხელბურთის ფედერაციებთან, ასევე ნორვეგიისა და დანიის ხელბურთის ფედერაციებთან და მნიშვნელოვან საკითხებზე არსებული გრანტების მოპოვება.

ანტი-დოპინგურ სააგენტოებთან თანამშრომლობის გზით, ანტი-დოპინგური სემინარების ჩატარება.

პარტნიორ ორგანიზაციებთან აქტიური თანამშრომლობა ეხმარება ფედერაციას თავისი საქმიანობის სწორად წარმართვაში, სხვადასხვა ფინანსური რესურსების, მათ შორის გრანტების მოძიებაში, თანამედროვე მართვის მეთოდების დამკვიდრებაში.

**წინამდებარე ამოცანის შესრულების შემთხვევაში უზრუნველყოფილი იქნება**: ა) ეროვნულ და საერთაშორისო სპორტულ ორგანიზაციებთან აქტიური თანამშრომლობით არსებული გრანტების მოპოვება. ბ) ანტი-დოპინგურ სააგენტოსთან თანამშრომლობის გზით, ანტი-დოპინგური საქმიანობის გამართული სისტემის ჩამოყალიბება და სემინარების ჩატარება.

| მიზანი 12. თანამშრომლობა ეროვნულ და საერთაშორისო სპორტულ ორგანიზაციებთან | | | | |
|---|---|---|---|---|
| ამოცანის ინდიკატორი | საბაზისო მაჩვენებელი, 2021 | შუალედური მაჩვენებელი, 2025 | სამიზნე მაჩვენებელი, 2030 | დადასტურების წყარო |
| **ამოცანა 12.1. ეროვნულ და საერთაშორისო სპორტულ ორგანიზაციებთან ერთობლივი განვითარების პროექტების განხორციელება, პროექტების განსახორციელებლად გრანტების მოპოვება.** | | | | |
| ეროვნულ და საერთაშორისო სპორტულ ორგანიზაციებთან თანამშრომლობა<br><br>ფედერაციას აქვს ჩამოყალიბებული სტრატეგია, რომლის მიხედვითაც თანამშრომლობს, როგორც ადგილობრივ, ასევე საერთაშორისო სპორტულ ორგანიზაციებთან. | გაფორმებულია 12 ურთიერთ თანამშრომლობის მემორანდუმი ადგილობრივ და საერთაშორისო სპორტულ ორგანიზაციასთან | გაფორმებულია 18 ურთიერთ თანამშრომლობის მემორანდუმი საერთაშორისო სპორტულ ორგანიზაციასთან | გაფორმებულია 32 ურთიერთ თანამშრომლობის მემორანდუმი საერთაშორისო სპორტულ ორგანიზაციასთან | ფედერაცია |
| | საერთაშორისო ორგანიზაციებთან თანამშრომლობით დაიგეგმა და განხორციელდა 5 სასწავლო/საგანმანთლებლო ღონისძიება | საერთაშორისო ორგანიზაციებთან თანამშრომლობით დაიგეგმა და განხორციელდა 8 სასწავლო/საგანმანთლებლო ღონისძიება | საერთაშორისო ორგანიზაციებთან თანამშრომლობით დაიგეგმა და განხორციელდა 12 სასწავლო/საგანმანთლებლო ღონისძიება | ფედერაცია |
| | ეროვნული ფედერაციის მიერ მოპოვებულია 100 000 ლარის გრანტი ფედერაციის სპორტული აქტივობების დასაგეგმად და განსახორციელებლად | ეროვნული ფედერაციის მიერ მოპოვებულია 350 000 ლარის გრანტი ფედერაციის სპორტული აქტივობების დასაგეგმად და განსახორციელებლად | ეროვნული ფედერაციის მიერ მოპოვებულია 500 000 ლარის გრანტი ფედერაციის სპორტული აქტივობების დასაგეგმად და განსახორციელებლად | ფედერაცია |

# სტრატეგიის ფინანსური ზრუნველყოფა და განხორციელების მექანიზმი

საქართველოში ხელბურთის განვითარების სტრატეგიის განხორციელებისთვის ფედერაცია უზრუნველყოფს საშუალოვადიანი (ოთხიწლიანი) სამოქმედო გეგმების შემუშავებას. სამოქმედო გეგმით განისაზღვრება სტრატეგიის ამოცანების შესასრულებლად შესაბამის ღონისძიებები, პასუხისმგებელი პირები, პარტნიორი ორგანიზაციები და საჭირო ფინანსური რესურსი. ფედერაცია უზრუნველყოფს სამოქმედო გეგმის შესრულების ყოველწლიურ მონიტორინგს, ასევე სტრატეგიის განხორციელების შუალედურ შეფასებას 2025 წელს.

2019 წლის მდგომარეობით ფედერაცია-ს მთლიანი ბიუჯეტის მოცულობის გათვალისწინებით ნათელია, რომ წინამდებარე სტრატეგიის განხორციელებისთვის საჭირო იქნება მნიშვნელოვანი დამატებითი ფინანსური რესურსის მოზიდვა.

სტრატეგიით განსაზღვრული ამოცანების განხორცილებისთვის სათანადო ფინანსური რესურსის მობილიზება მოხდება შემდეგი ძირითადი წყაროებიდან: **სახელმწიფო ბიუჯეტი, კერძო ინვესტიციები, საერთაშორისო და ევროპის ხელბურთის ფედერაციები.**

ფედერაცია აცნობიერებს, რომ სტრატეგიის განხორციელებისთვის მოზიდული კერძო დაფინანსება და საერთაშორისო ფედერაციების ფინანსური მხარდაჭერა ვერ იქნება საკმარისი სტრატეგიის სრულფასოვანი შესრულებისთვის. ამ ფაქტორის გათვალისწინებით, დიდი მნიშვნელობა ენიჭება სახელმწიფო ბიუჯეტიდან მიზნობრივი დაფინანსების ზრდას.

სახელმწიფო დაფინანსების კონტექსტში აღსანიშნავია, რომ **ფედერაციის ხედვა და მისი სტრატეგიული მიზნები პირდაპირ ეხმიანება საქართველოს სახელმწიფოს კონსტიტუციურ ვალდებულებას იზრუნოს** „სპორტის განვითარებაზე, ჯანსაღი ცხოვრების წესის დამკვიდრებაზე, ბავშვებისა და ახალგაზრდების ფიზიკურ აღზრდასა და სპორტში მათ ჩართვაზე“ (საქართველოს კონსტიტუცია, მუხლი 5).

ფედერაციის საქმიანობის ანალიზმა აჩვენა, რომ 2020 წლის მდგომარეობით ორგანიზაციისთვის ხელმისაწვდომი ფინანსური რესურსის ვერ უზრუნველყოფს ფედერაციის საქმიანობის შედეგების გაუმჯობესებას (მაგ.: ჩემპიონატების ხარისხის გაუმჯობესება, კვალიფიციურ მსაჯთა და სხვა პერსონალის ზრდა და სხვ), რადგანაც ის საკმარისი არ არის არსებული მდგომარეობის გასაუმჯობესებლად. აღნიშნულის გათვალისწინებით, ფედერაცია აქტიურად ითანამშრომლებს აღმასრულებელ ხელისუფლებასთან წინამდებარე სტრატეგიის განხორციელებისთვის დამატებითი ფინანსური რესურსის მიღების მიზნით.

საქართველოს განათლების,
მეცნიერების, კულტურისა და
სპორტის სამინისტრო

GEORGIA

EHF

GEORGIAN NATIONAL HANDBALL FEDERATION
1956

SPORT FOR ALL

GEORGIAN PARALYMPIC COMMITTEE

GADA

G
S
M

GSWA

GMS

SPORTALL.GE

popsport

JAKO
96.3 FM

ბაკურიანი

Coca-Cola

GEORGIAN NATIONAL HANDBALL FEDERATION

1956

(995 32) 224 48 77
office@geohandball.ge
www.geohandball.ge
/GNHF
@georgianhandball
@georgiahandball
/c/geohandball
თბილისი 0162, ქავჭავაძის გამზირი 49ა

ხელბურთი - მეტი ვიდეო გამარჯვება